მზია ჯუღელი

MZIA JUGHELI

თეიზიზ ბაჩეიშვილაძე

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები

GEORGIAN OLYMPIC CHAMPIONS

პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი
ელგუჯა ბერიშვილი

THE PROJECT AUTHOR AND EDITOR-IN-CHIEF
Elguja Berishvili

პროექტის მენეჯერი
ემზარ ზენაიშვილი

THE PROJECT MANAGER
Emzar Zenaishvili

პროექტის კოორდინატორი
რუსუდან აფციაური

THE PROJECT COORDINATOR
Rusudan Aptsiauri

ტექსტი
თენგიზ გაჩეჩილაძე

TEXT
Tengiz Gachechiladze

დიზაინი
ვახტანგ შატაიძე

DESIGN
Vakhtang Shataidze

რედაქცია
**ავთანდილ გურასაშვილი, ჯემალ კასრაძე, დავით ჭელიძე,
კარლო ფაჩულია, ზაალ ანჯაფარიძე, ინგა ალავიძე,
ნანა ჯოხარიძე, მაია ბერიშვილი, ივანე ბურნაძე**

EDITORIAL STAFF
**Avtandil Gurasashvili, Jemal Kasradze, David Chelidze,
Inga Alavidze, Karlo Pachulia, Zaal Anjaparidze, Nana Jokharidze,
Maia Berishvili, Ivane Burnadze**

ფოტო
**მიხეილ ზარგარიანი, ალექსანდრე კოტორაშვილი, იური სომოვი,
ჯემალ კასრაძე, ბორის სვეტლანოვი, www.sportphoto.ge**

PHOTO
**Mikhail Zargaryan, Aleksandre Kotorashvili, Yuri Somov,
Jemal Kasradze, Boris Svetlanov, www.sportphoto.ge**

პარტნიორები
**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი
საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოლიმპიური სოლიდარობა
საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაცია**

PARTNERS
**Georgian National Olympic Committee
Olympic Solidarity of the International Olympic Committee
United Gymnastic Federation of Georgia**

ISSN 2233-3096
ISBN 978-9941-0-3418-3

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები

მზია ჯუღელი

2011

© საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია
© GEORGIAN SPORTS WRITERS ASSOCIATION

„მზისაებრ გაბრწყინებული“ — ასე მიმართავდა თურმე საქართველოს სახალხო არტისტი, ქალბატონი ნინო ჩხეიძე თავისი დიდი ხნის მეგობარს, მზია ჯუღელს. სათაყვანო ადამიანის მართლაც გაბრწყინებულმა სახემ და სახელმა თუ შთააგონა მსახიობს ეს სიტყვები. თუმცა, მზია ჯუღელს ნაღვლიანი და ტრაგიკული წლებიც არგუნა ბედმა.

სახელს ღვაწლი ძერწავს, ზოგისთვის ეპოქალურს, ზოგისთვის მარადიულს. მარადიულობას 1952 წელს ეზიარა მზია ჯუღელი, როცა ქართველ ქალთაგან ოლიმპიური კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე პირველმა შედგა ფეხი. იქიდან მოყოლებული, სიამაყითა და მოწიწებით წარმოთქვამს მის სახელს მთელი საქართველო, ღირსეულ პატივს მიაგებს მსოფლიო სატანვარჯიშო და ოლიმპიური სამყარო.

* * *

არის სპორტის სახეობები, რომელთა ხალხური საწყისები სათავეს იღებენ კაცობრიობის დასაბამიდან. მათ შორის ერთ-ერთი უპირველესია ტანვარჯიში, რომელიც, როგორც მკვლევარებმა დაადგინეს, გამორჩეულად „აყვავდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI-VI საუკუნეებში, ანტიკურ ელადაში, განსაკუთრებით სპარტასა და ათენში“.

სპორტის სრულყოფილ სახეობად ტანვარჯიშის ჩამოყალიბება დაიწყო XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან. ქვეყანა, სადაც ჩატარდა პირველი ტანვარჯიშული ასპარეზობა, იყო ჩეხეთი, თუმცა შეჯიბრების წესები სრულიად დაუხვეწავი იყო. 1881 წელს შეიქმნა ევროპის ტანვარჯიშის ფედერაცია, მოგვიანებით კი, კერძოდ, 1903 წელს, უკვე მსოფლიო ფედერაცია ყალიბდება, რომელიც თავისი პირველობების აღრიცხვას იწყებს. 1912 წელს ტანვარჯიში პირველად შეაქვთ აღორძინებული ოლიმპიური თამაშების პროგრამაში.

უდავოდ საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ბევრი ქვეყნისგან განსხვავებით, იმ პერიოდში ტანვარჯიში საქართველოში სულაც არ იყო უცხო. პირიქით, ჩვენი ტანმოვარჯიშეები საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე იყვნენ აღიარებულნი.

ყველაფერი დაიწყო 1889 წელს, როცა თბილისის გიმნაზიის დირექციამ პრაღის „სოკოლს“ მიმართა თბილისში ტანვარჯიშის მასწავლებლის

გამოგზავნის თხოვნით. პრაღიდან მოვლინებულმა ჩეხმა გრუმლიკმა თბილისში მოღვაწეობის წლისთავზე, მის მიერ მომზადებულ ტანმოვარჯიშეთა მონაწილეობით გამართულ საჯარო ტურნირზე მიიწვია საზოგადოება. გრუმლიკმა სპეციალისტებიც მოამზადა, რომლებმაც სხვა ჩეხ კოლეგებთან ერთად წარმატებით დაიწყეს სპორტის ამ სახეობის მთელ საქართველოში დანერგვა.

სწორედ 1912 წელს, ქართველმა ტანმოვარჯიშეებმა გაიოზ ბერელაშვილმა და გიორგი ეგნატაშვილმა პრაღაში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე მაყურებელი მოხიბლეს მაღალი ოსტატობით და, როგორც პრესა წერდა: „საპატიო ადგილებიც დაიკავეს“. აი, ასეთი შედეგი გამოიღო გრუმლიკის ფუძემდებლურმა ღვაწლმა.

XX საუკუნის 20-30-იან წლების საქართველოში სწორედ ტანვარჯიში იქცა ზოგადად სპორტის განვითარების ძირითად მიმართულებად. ისიც უდავოდ საგულისხმოა, რომ ერთ-ერთმა პირველმა სწორედ ტანვარჯიშმა წარმოაჩინა საქართველო საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე, შემდეგ კი სხვებზე უწინ აიყვანა ოლიმპიური კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე პირველი ქართველი ქალი — მზია ჯუღელი.

მაგრამ ჰელსინკამდე საუკუნეები და ერთი ქართველი ქალის ცხოვრების 26 წელიწადი, 11 თვე და 21 დღე იყო გასავლელი.

ამ ათვლას აქვს კიდევ ერთი კონკრეტული თარიღი — 1933 წლის 21 სექტემბერი, როცა პატარა მზიამ ჯერ კიდევ გაუთვითცნობიერებელი პირველი ნაბიჯი გადადგა სპორტში.

ვერცხლისწყალივით მოძრავი ბავშვი (მზია მაშინ მეორე კლასის მოსწავლე იყო) სოფლის ეზოში ჩამოკიდებულ ტანვარჯიშულ რგოლებზე შენიშნა ფიზაღზრდის მასწავლებელმა შალვა ბოსტაშვილმა და გაოცებული დარჩა გოგონას სპორტული მონაცემებით. ეს ამბავი ხდება გურჯაანში, სადაც ქუთაისიდან სამუშაოდ გადავიდნენ მზიას მშობლები.

ერთი დღეს შალვა მასწავლებელმა ტანვარჯიშულ რგოლებზე ჩამოკიდებაში კლასებს შორის შეჯიბრება ჩაატარა. ვარჯიში რთული არ იყო, მაგრამ მასწავლებელს უადვილებდა მოზარდის სპორტული ნიჭის შეცნობას.

„სიმართლე გითხრათ, ეს შეჯიბრება იმ მოუსვენარი გოგოსთვის მოვიფიქრე, რგოლებს ხშირად რომ უტრიალებდა და თავისთვის ერთობოდა,“

— იტყვის რამდენიმე ათეული წლის შემდეგ შალვა ბოსტაშვილი. პირველი, რაც შენიშნა შალვა მასწავლებელმა, რგოლებთან მისვლის წინ მზიას სერიოზული გამომეტყველება იყო. ეს უკვე რაღაცას ნიშნავდა. ანცი გოგონა დინჯად, მობილიზებული მივიდა რგოლებთან და თავდაჯერებულად შეასრულა ვარჯიში.

წარმატებით ჩააბარა პირველი გამოცდა. თანატოლებში აშკარად საუკეთესო იყო. უფრო იმან გაახარა, რომ საკუთარ თავს აჯობა, ისე გამოუვიდა ყველაფერი, როგორც ჩაიფიქრა. საერთოდ, ნებისმიერ თამაშში სურდა მხოლოდ პირველი ყოფილიყო. მშობლებს მის სპორტულ დაოსტატებაზე არც უფიქრიათ. ბავშვურ გატაცებად მიიჩნევდნენ მზიას მონაწილეობას სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებებში, მათ შორის — მძლეოსნობაში, ცურვაში, ტანვარჯიშში

მაშინ გურჯაანში ტანვარჯიში უცხო ხილი იყო. შალვა ბოსტაშვილმა რაიონის ხელმძღვანელების დახმარებით მოიწადინა პირველი სექციის გახსნა. სავარჯიშოდ ელექტროსადგურის ძველი შენობა გამოუყვეს ზემო გურჯაანში. იქაურობა საკუთარი ხელით მოაწესრიგა, თბილისიდან ჩაიტანა ინვენტარი.

მზია ჯუღელი: „იმ დროს მესამე კლასში ვსწავლობდი შალვა მასწავლებელი ჩვენთან მოვიდა ოჯახში და მშობლებისგან ტანვარჯიშში ჩემი მეცადინეობის ნებართვა ითხოვა. ჩემი მშობლები დიდ პატივს სცემდნენ ამ კაცს. მისი მეუღლე, ნინო ალადაშვილი ჩემი მასწავლებელი იყო სკოლაში“.

მერე ტანვარჯიშული სექცია ეკლესიის შენობაში გადააბარგეს. დიდი დრო არ იყო გასული, რომ გურჯაანელი ტანმოვარჯიშეები თბილისში მიიწვიეს საქართველოს მოსწავლეთა პირველობაზე: „თბილისში წაგვიყვანეს ოთხი ბავშვი — მე, ტატიანა გამყრელიძე, ირინა გოჩიტაშვილი და ერთიც ჭაბუკი — ოთარი. სამწუხაოდ, გვარი აღარ მახსენდება.“

თავის ასაკში მზიას მეოთხე ადგილი ხვდა წილად და, რაც მთავარია, მოზარდის ნიჭიერებაში ყველა დარწმუნდა, მაგრამ შემდგომი დაოსტატებისთვის გურჯაანში შესაფერისი სპორტული იარაღები არ იყო. დღის წესრიგში დადგა თბილისში, დედის მშობლებთან მზიას გადმოყვანა. ეს ოდნავ გვიან მოხდა, მაგრამ უკვე იძულებით, იმ ტრაგედიის გამო, რაც მის ოჯახს მოულოდნელად დაატყდა თავს გურჯაანში.

* * *

1938 წლის 23 თებერვლის დილა თენდებოდა. ჯუღელების კარზე ავისმომასწავებელი კაკუნი გაისმა. მზიას მამა ნიკოლოზ ჯუღელი ჩეკამ დააპატიმრა, 8 მარტს კი დედაც წაიყვანეს.

იცის, ვინც შურით უმტრო, მაგრამ თავს იკავებს დასახელებისგან. იმ ადამიანებს შთამომავლობა დარჩათ და ცოდონი არიან, იმათ რა დააშავესო. ძველ ამბავს რომ იხსენებს, თავს ვერ იკავებს, თვალებზე ცრემლი მოადგება ხოლმე... არ დაგავიწყდეთ: მამა 23 თებერვალს, საბჭოთა არმიის დღეს დააპატიმრეს, დედა 8 მარტს — ქალთა საერთაშორისო დღეს.

რა იყო ეს, უბრალო დამთხვევა, ბედის ირონია, თუ გამიზნული ცინიზმი?

იმ საბედისწერო დილას, 23 თებერვალს, ბინის ზღურბლს სამმა მამაკაცმა გადააბიჯა გურჯაანის „ჩეკას“ უფროსის, გოგი გედევანიშვილის ხელმძღვანელობით.

ქალბატონ მზიას მოვუსმინოთ: „დედამ გამაღვიძა, სამეულიდან ძია გოგი ვიცანი. ვერ გამერკვია, რაში იყო საქმე, რა ხდებოდა, რა უნდოდათ. გოგი მამას მეგობარი იყო, პურმარილზე ჩვენთან ბევრჯერ ყოფილა ოჯახში. მერე და მერე ვიგრძენი, რომ ჩვენს თავს რაღაც უბედურება ხდებოდა. ავკანკალდი. დედამ მომხვია ხელი და დამაბრუნა საძინებელ ოთახში. მამა წაეყვანათ. დილით ჩაი აადუღა დედამ, ჩაასხა ჭურჭელში და შიგ მურაბა ჩაყარა. მამას მურაბიანი ჩაი უყვარდა.

პატიმრისთვის საუზმის მიტანა თავად „ჩეკას“ უფროსს დაუბარებია. დედამ მეც წამიყვანა. ნახვის უფლება არ მოგვცეს, საუზმე მიიღეს მხოლოდ. გამოიტანეს მამის წერილი, სადაც დედას არწმუნებდა, ცუდი არაფერი მოხდება, სიმართლე მალე გაირკვევა, ბავშვს მოუარეო.

მეორე დღეს, დედა მარტო წავიდა მამას სანახავად. წინა დღეს უთხრეს, სანოვაგე ისევ მიეტანა, ვიდრე თელავის ციხეში გადაიყვანდნენ. მაგრამ დედას იქ მამა აღარ დახვედრია“.

ამის შემდეგ ნიკოლოზ ჯუღელისგან არაფერი ისმოდა.

„მერე დედაც დააპატიმრეს. არც გამიგია, როგორ მოხდა ეს ამბავი. დედამ არ გამაღვიძა. მე სასტუმროში გადამიყვანეს. დედა რომ ველარ დავინახე, შიშისგან ელდა მეცა, ცოტა ხნით გონება დავკარგე. როცა თვალები



სსრ კავშირის ჩემპიონატის მონაწილეები — მზია ჯუღელი, ნიკოლოზ თაყაიშვილი და ვლადიმირ ლავრუშენკო. მოსკოვი, 1947 წელი

სსრ კავშირის ტანმოვარჯიშეთა ნაკრები. მარცხნიდან პირველი — გუნდის კაპიტანი მზია ჯუღელი. ბუქარესტი, 1954 წელი



ბჯენითი ხტომა მზია ჯუღელის შესრულებით. მოსკოვი, 1947 წელი

გავახილე, თავზე მადგნენ შალვა ბოსტაშვილი და ჩვენი მეზობელი სონია დარაბეგოვა“.

იყო დრო, როცა არაერთმა ქართულმა გვარმა უცხო დაბოლოება და ჟღერადობა შეიძინა. მერე დადგა სამართლიანობის აღდგენის დრო, სონია დარაბეგოვამ ასე დაიბრუნა თავისი ისტორიული გვარი და დარბაიძე გახდა. აი, ეს ქალი, მშობლიურ სითბოს და მზრუნველობას არ აკლებდა პატარა მზიას.

ვიდრე ბებია და ბაბუა ჩააკითხავდნენ შვილიშვილს, შალვა ბოსტაშვილს მოუსურვებია მზია თავისთან წაეყვანა ოჯახში, მაგრამ „დააშინეს, ბავშვს თავი გაანებე, თორემ ტროცკისტის შვილის შეფარებისთვის შენც არ დაგინდობენ და დაგიჭერენო,“ — ეუბნებოდნენ.

მზია იგონებს: „ბებია და ბაბუა მესამე დღეს ჩამოვიდნენ. სასწავლო წლის დამთავრებამდე დიდი დრო აღარ რჩებოდა. დარაბეგოვებმა გარისკეს და ჩემებს სთხოვეს, მათთან დავეტოვებინე, რათა ის სასწავლო წელი ბარემ გურჯაანში დამემთავრებინა. დარაბეგოვებს ოთხი შვილი ჰყავდათ: ირინა — ჩემი კლასელი, ალბერტი, შურა და გუგული. ხშირად ვფიქრობ, მაშინ თბილისში რომ წამოვეყვანეთ, სკოლას, უბანს, ტოლ-ამხანაგებს მოვწყდებოდი და ეს კიდევ ერთი ტრაგედია იქნებოდა ჩემთვის. სულიერად ტრავმირებულს, თბილისში ახალ გარემოსთან ასე ერთბაშად შეგუება გამიჭირდებოდა“.

ერთ დღეს დარაბეგოვების ოჯახს მილიციელი მიადგა და მზრუნველ ქალს უთხრა: სონია, მზია გაგვატანე, დედამისი დღეს თელავში გადაჰყავთ და უნდა ვანახოთ, ოღონდ, ეს ამბავი არ გაახმაუროო.

„სადგურზე მიმიყვანეს, დედა უკვე ვაგონში იჯდა. დამინახა თუ არა, ატირდა. მეუბნება: ნუ გეშინია, შვილი, ყველაფერი გაირკვევა და მალე ერთად ვიქნებით, უფროსებს დაუჯერეო. ჩვენ ვეხვეოდით ერთმანეთს და ვტიროდით, ხალხიც ქვითინებდა“.

ეჭვი არ არის, მკითხველს გული დაუმძიმდა და შესძრა ერთი ქართველი ოჯახის ტრაგედიამ, რომელიც, საუბედუროდ, გამონაკლისი არ იყო... ახლა ათი წლით წინ გადავინაცვლოთ. ამ პერიოდის მსოფლიო პოლიტიკაში მიმდინარე ცლილებებს არც სპორტისთვის აუვლია გვერდი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა კავშირის მონაწილეობას რეალური საფუძველი გაუჩნდა. მაგრამ ჯერ აუცილებელი ნაბიჯი უნდა გადადგმულიყო — 1948 წლიდან აქტიურად დაიწყო სსრ კავშირის სპორტული ფედერაციების

გაწევრიანება საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში. საბჭოთა კავშირმა ოფიციალური მიწვევა მიიღო 1952 წლის ჰელსინკის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის მისაღებად. 1951 წელს შეიქმნა სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტი, რომელიც საერთაშორისო კომიტეტმა იმავე წელს, 7 მაისს აღიარა. საბჭოთა ნაკრები გუნდები შეუდგნენ მომავალი ოლიმპიადისთვის მზადებას. ამ გუნდებში ფართოდ იყო წარმოდგენილი ქართული სპორტი. მზია ჯუღელმაც თამამად შეაბიჯა საბჭოთა ტანმოვარჯიშეთა აღიარებულ კოჰორტაში. ქართველი სპორტსმენი უკვე საკმაოდ იყო გამობრძმედილი და ყველა შეკრებაზე, ყველა შეჯიბრებაზე იწვევდნენ შინ თუ საზღვარგარეთ.

მაგრამ მივყვეთ მოვლენებს და თვალი მივადევნოთ მზიას ცხოვრების იმ 10 წელიწადს, თხრობაში რომ ზემოთ უკან მოვიტოვეთ.

* * *

დედის მშობლებთან თბილისში ჩამოსვლამდე ოთხწლედი გურჯაანში დაასრულა. ახალი სასწავლო წლიდან სახლთან ახლოს, რკინიგზის მე-6 სკოლაში განაგრძო სწავლა. იმავე უბანში, „პიშჩევიკის“ ცნობილ სპორტულ დარბაზში მიიყვანეს სამეცადინოდ არჩილ ბაქრაძესთან — გამოჩენილ შევარდნელ ტანმოვარჯიშესთან.

„ძალიან თბილად შემხვდნენ. თავად არჩილ ბაქრაძემ ამიყვანა შეგირდად, ხშირად მოდიოდა დარბაზში გიორგი მერკვილაძე. ეს საოცარი პიროვნება, როგორც იტყვიან, მართლაც თან მყვებოდა. იმავე წელს თანატოლებში გავხდი საქართველოს ჩემპიონი მრავალჭიდში“.

ახლოვდებოდა 1939 წლის მოსწავლეთა საკავშირო პირველობა მოსკოვში. სპეციალისტებმა გულდასმით შეარჩიეს ჩვენი ნაკრების წევრები. მზიას ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი. საკუთარ ძალებში დარწმუნებულმა და მწვრთნელებისგან შეგულიანებულმა, ამჯერადაც გაამართლა ნდობა — რგოლებზე და ორძელზე ვარჯიშში საუკეთესო იყო, საერთო ჩათვლაში კი მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა.

მაშინ რუსი სპეციალისტებიც მოიხიბლნენ მზიას ნიჭიერებით, დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, ქართველ კოლეგებს კი ტალანტის აღმოჩენას ულოცავდნენ.



პირველი ნაბიჯები
დიდ ტანვარჯიშში

მარჯვნიდან პირველი — მზია ჯულელი. 1930-იანი წლები

4 თვის მზია

რობერტ ბუში, ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივანი: „მზია ჯუღელი მსოფლიოს სატანვარჯიშო სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი და საყოველთაოდ ცნობილი წარმომადგენელია. იგი არ დასჯერდა მხოლოდ ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულს. მთელი თავისი ცხოვრება ტანვარჯიშს, მის პოპულარობას და განვითარებას მიუძღვნა. მის მიერ გაკვალულ გზაზე და მისივე უშუალო მონაწილეობით ტანმოვარჯიშეთა თაობები აღიზარდნენ საქართველოში, რომელთა შორის არიან ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები“.

ამის შემდეგ მწვრთნელებმა მზიასთვის ინდივიდუალური მზადების გეგმა შეიმუშავეს. მომდევნო გამოცდა ლენინგრადში მოსწავლეთა საკავშირო პირველობაზე ელოდა, თანაც — ასაკით უფროსებთან.

მოხდა სენსაცია: ორძელზე და ბჯენით ხტომებში მზია პირველ ადგილზე გავიდა, საერთო ჩათვლაში კი — მეორეზე.

* * *

მერე მსოფლიო ომის უმძიმესი წლები, როგორც ვთქვით, დედის მშობლებთან თბილისში გაატარა. ერთადერთი, რაც იმ წლებში დედა-შვილს აკავშირებდა ერთმანეთთან, რვეულის ფურცლებზე დაწერილი ბარათები იყო. ძნელი წარმოსადგენი არ არის, რომ ცენზურა უმკაცრესად გააკონტროლებდა, რას წერდა დედა შვილს და შვილი დედას. მაგრამ დედა-შვილმა ისიც იცოდა, როგორ მოეთოკათ გრძნობები. როგორც ყველა მოზარდი, მზიაც იმდროინდელი იდეოლოგიით ყალიბდებოდა. მასაც, მიუხედავად თავსდატეხილი უსაზღვრო უბედურებისა, უნდოდა თუ არა, ყველას მსგავსად, ბედნიერ ბავშვობაზე უნდა ელაპარაკა. გთავაზობთ ამონარიდს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ 1941 წლის ერთ-ერთი ნომრიდან: „წელს საქართველოს მოსწავლეთა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მ. ჯუღელი პირველ ადგილზე გამოვიდა. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ლენინგრადში საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად გაგზავნეს.

— საქართველოდან სულ 22 მოსწავლე ვიყავით, — ამბობს მზია, — მათგან უმრავლესობას არ გვენახა მოსკოვი, ლენინგრადი. მღელვარე გულით ვუახლოვდებოდით საბჭოთა კავშირის დედაქალაქს — მოსკოვს.

— ჩვენ, საბჭოთა კავშირის ბავშვები უბედნიერესი ბავშვები ვართ მთელს მსოფლიოში. ჩვენზე ზრუნავს ლენინ-სტალინის პარტია. ჩვენზე ზრუნავს ჩვენი საუკეთესო მეგობარი დიდი სტალინი. ჩვენ გვიქმნიან ყოველგვარ პირობას, სწავლისთვის, ბედნიერი ცხოვრებისთვის, — ამბობს სიცოცხლით სავსე 14 წლის გოგონა, — პირობას ვიძლევი გავამართლო ეს მზრუნველობა და ყურადღება.“

ომის მძიმე წლებს ქვეყნის ცხოვრებაში, მართალია, კორექტივები შეჰქონდა, მაგრამ საქმიანობა არ შეწყვეტილა არც ერთ სფეროში. ვითარდე-

ბოდა სპორტიც, ოლონდ, შეჯიბრებების სიხშირემ, რაღა თქმა უნდა, იკლო. მზია განაგრძობდა დაოსტატებას, სჯეროდა, რომ დადგებოდა დრო და უეჭველად მისწვდებოდა დიდ სპორტულ სიმაღლეებს.

ძირითად დროს ტანვარჯიშს უთმობდა, თუმცა დიდი ხალისით მონაწილეობდა მძლეოსნობაში, ცურვაში და წყალში ხტომაში გამართულ საქართველოს პირველობებშიც. მწვრთნელები არ ეწინააღმდეგებოდნენ მის სურვილს. სპორტით მრავალმხრივი გატაცება ხელს უწყობდა ტანვარჯიშში მაღალი შედეგების მიღწევაში.

* * *

ლენინგრადიდან საქართველოს დელეგაცია თბილისში მოსკოვის გავლით გამოემგზავრა. გიორგი მერკვილაძე შეძრული იყო მზიას ოჯახის ტრაგიკული ბედით. მოსვენებას უკარგავდა მისი მშობლების ადგილსამყოფელის დადგენის ფიქრი. ჩვენი დელეგაცია ორი დღე რჩებოდა მოსკოვში. ლენინგრადიდან მგზავრობისას გიორგი მერკვილაძემ და არჩილ ბაქრაძემ მოილაპარაკეს, რომ იმ ორ დღეს მოსკოვში მზიას დედის ამბის გასარკვევადაც გამოიყენებდნენ.

„მე არაფერი ვიცოდი. გიორგიმ და არჩილმა სასტუმროში განცხადება დამაწერინეს და მივაკითხეთ საბჭოთა კავშირის პროკურატურას პუშკინის ქუჩაზე. განცხადებაში ქვეყნის მთავარ პროკურორთან ვიშინსკისთან ვითხოვდი შეხვედრას. თუ რისთვის, არ ჩამაწერინეს.

კომენდატურის სარკმელთან არჩილ ბაქრაძე მივიდა და ჩემი განცხადება გადასცა. გიორგი და მე მისაღებ ოთახში ვიდექით. ვატყობდი, გიორგი ნერვიულობდა.

ცოტა ხანში არჩილი გამობრუნდა.

— რაო, — მიაგება გიორგი მერკვილაძემ.

— კომენდატურის მორიგემ ჩაიკითხა თუ არა განცხადება, ირონიულად ჩაიღიმა. არაფერი გამოვა, — თქვა არჩილმა.

ამის თქმა იყო და, არჩილი უეცრად შეტრიალდა, ისევ სარკმელთან მივიდა და ჩინოვნიკს უკვე ხმამაღლა მიმართა:

— ეგ „პრავდა“ დღევანდელია ხომ! გადაშალეთ და ნახეთ, პროკურორთან შეხვედრა იმ გოგონას სურს, გაზეთში სურათზე რომ არის გამოსახული.

მზია ჯუღელი პატარა ირინასთან ერთად. 1948 წელი

მზია ჯუღელი და
არკადი არხანგელსკი
1947 წელს შეუღლდნენ

ჩემთან ერთად სურათზე არჩილიც იყო აღბეჭდილი, ორძელთან დაზღვევაზე მდგარი. ეს იყო და, მორიგემ უმალვე ვიღაც გამოიძახა. ის გამიძღვა პროკურორთან.

უკვე დარიგებული ვყავდი ჩვენებს, რა და როგორ მეთქვა. შევდივარ ვრცელ კაბინეტში. პროკურორი ღიმილით მეგებება. მელაპარაკა სპორტზე, ჩემს წარმატებებზე, მერე თავად ჩამომიგდო მშობლებზე სიტყვა. მკითხა, როდის დააპატიმრესო. მეუბნება: მამა დახურულ ბანაკშია, დედა ღიაში, მისამართს მოგცემთო. მომცეს.

პირველმა, რა თქმა უნდა, დედას წერილი მე გავუგზავნე. ახლაც მახსოვს მისამართი: ვოლოგოდსკის ოლქი, სტანცია შექსნა. სოფელი ნიკოლსკი, ბანაკი. რამდენიმე ხანში დედისგან პასუხი მივიღე. ეტყობა, პროკურორთან ჩემი შეხვედრის შემდეგ, დედასაც მისცეს უფლება. სისტემატურად ვწერდით ერთმანეთს, ვიდრე დაბრუნდებოდა“.

* * *

მზიას სპორტული დაოსტატება პროგრესული გზით მიდიოდა. როგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო სპორტულ სარბიელზე წარმატებას წარმატება ენაცვლებოდა. ყველაზე საპასუხისმგებლო გამოცდის დრო 1945 წლიდან დადგა, ათვლა კი „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობიდან დაიწყო. ეს შეჯიბრება მოსკოვში, ღია არენაზე ჩატარდა, რაც უჩვეულო და უცხო იყო ქართველი გოგონასთვის. მზიამ მაინც არავის დაუთმო უძლიერესის სახელი მრავალჭიდში, თანაც თვალსაჩინო უპირატესობით. ეს წარმატება სახელგანთქმული ოსტატების — გალინა ურბანოვიჩისა და ტატიანა კამენსკაიას გვერდით უმაღლეს თანრიგში გამოსვლის უფლებას აძლევდა. ელიტაში უეცარმა შეჭრამ უფრო გაუღრმავა საკუთარი შესაძლებლობების რწმენა. მთავარი ახლა რჩეულთა შორის თავის გამოჩენა იყო. მწვრთნელი საგულდაგულოდ ამზადებდა. არც მორიგ სენსაციას დაუყოვნებია. 1946 წელს, მოსკოვში ქართველი ტანმოვარჯიშე კვლავ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე დადგა და ოსტატობის პროგრამით მასთან ერთად მოასპარეზე ურბანოვიჩსა და კომენსკაიას უკვე ზემოდან დაჰყურებდა. თუმცა ესეც არ იყო მთავარი. ბჯენით ხტომებში ჩათვლაში ოთხიდან

ორი საუკეთესო შედეგი შედიოდა, მზიამ ოთხივე ცდაზე უმაღლესი შეფასება 10-10 ქულა დაიმსახურა.

ახალბედასთან დამარცხებამ განსაკუთრებით გალინა ურბანოვიჩზე იმოქმედა. მას ამჯერად მეორე ქართველმა აჯობა. პირველად 1944 წელს რაისა ზაალიშვილმა ჩამოართვა ქვეყნის ჩემპიონობა ბჯენით ხტომებში.

* * *

მზია ჯუღელის ტრაგიკულ ბედზე თხრობა იქ შევწყვიტეთ, როცა შვილმა დედასთან მიმოწერის უფლება მოიპოვა. ისიც ბედნიერება იყო, რომ დედა-შვილის მონატრებულ სითბოს საფოსტო ბარათები დაატარებდა აქეთ-იქით. შვილსაც და დედასაც ერთმანეთთან მალე შეხვედრის სურვილი არ აძლევდა მოსვენებას.

დინამოელთა სპორტულ შეჯიბრებებს, როგორც წესი, ამ სპორტსაზოგადოების ხელმძღვანელები — ძალოვანი სტრუქტურების მაღალჩინოსნები ესწრებოდნენ. საბჭოთა სპორტის მთავარი ძალა ამ სპორტსაზოგადოებაში იყო თავმოყრილი. რჩეულთა დაჯილდოებას „დინამოს“ შეფი ღირსებად მიიჩნევდა. და აი, ტანმოვარჯიშეთა ზემოხსენებული ასპარეზობის შემდეგ შეფის კაბინეტში გამარჯვებულები მიიწვიეს დასაჯილდოებლად. ჯილდოს გადაცემას და მილოცვას „დინამოს“ თავკაცი ამთავრებდა სიტყვებით: „ხომ არაფერს ითხოვთ?“

„ზომიერი მხიარულების წყალობით, დარბაზობაზე დაძაბული ატმოსფერო მოიხსნა. იმ წუთებში გონებაში ერთი აზრი მიტრიალებდა — მეტყოდა თუ არა გენერალი იმ სანუკვარ ფრაზას. ვფიქრობდი: რა თქმა უნდა, ჩემი მშობლების ამბავი მისთვისაც ცნობილია. ხომ შეიძლება, სწორედ ამიტომ, მე საერთოდ, არაფერი მითხრას. ნუთუ ყველაფერი საჩუქრის გადმოცემით, ხელის ჩამორთმევით და მომავალი წარმატების სურვილით დამთავრდება? როცა მეც მიხმეს, თავში ეს ფიქრი მიტრიალებდა. და აი, გენერალი მეუბნება: „ხომ არაფერი გსურს?“ წამიერად ავღელდი. აღარც მახსოვს, რა იყო ჩემს ხმაში, ვედრება თუ მორიდებული თხოვნა: დედის ნახვა მსურს-მეთქი, შევბედე“.

გენერალმა იქვე გასცა განკარგულება — აეღოთ ბილეთები და მზიასთვის გამცილებელიც გაეყოლებინათ.



მზია ჯულელი ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებზე. 1952 წელი

საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა ჯგუფურ ვარჯიშში ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედლები დაიმსახურეს. ჰელსინკი, 1952 წელი

ტანვარჯიში სილამაზეა, სილამაზე — ტანვარჯიში. ბევრს დღესაც ახსოვს მზია ჯუღელის სრულქმნილი მშვენიერება, ხოლო ვისაც იგი არ უნახავს ყმაწვილქალობაში, წელთა სიმრავლეს ბევრი რომ ვერაფერი დაუკლია, ამით რჩება გაოცებული. ასეთია სპორტისა და ადამიანის ასაკის ჰარმონია, ყოველ შემთხვევაში, ტანვარჯიშის მაგალითზე მაინც.



საჩვენებელი გამოსვლა ინდოეთში. 1957 წელი

„როგორც იქნა ჩავედით ვოლგოგრადში. მერე პატარა მატარებელში გადავჯექით, ისეთში, ბორჯომიდან რომ დადიოდა ბაკურიანში. იქაც ტყე-ტყე მიყვებოდა ლიანდაგს „კუკუშკა“. შექსნა ბოლო სადგური იყო. საშინლად ყინავდა. ვაგზლის უფროსთან შემიყვანეს, შემსვეს რუსულ ღუმელზე. ის ღამე იქ დავრჩი. გამთენიისას მარხილმა მოგვაკითხა და სოფელ ნოველსკისკენ მიმავალ გზას გავყევით“.

ბანაკის უფროსს მიჰგვარეს. იქვე ჩააცვეს თბილი ჩექმები და დაბამბული სამოსი. ასე წაიყვანეს დედასთან შესახვედრად.

„ერთ კოტეჯს მივადექით. დედას დაუძახეს. გამოვიდა. რომ შემომხედა, გონება დაკარგა. გონს რომ მოვიდა, მერე მე გავხდი ცუდად. რა გითხრათ, ეს იყო უბედნიერესი წუთები, რომლის სიტყვებით გადმოცემა შეუძლებელია. რვა წლის უნახავები შევხვდით ერთმანეთს“.

დედასთან ამ უჩვეულო გარემოცვაში სამი დღე დაჰყო. მთელმა ბანაკმა შეიტყო ეს ამბავი. ერთმა ქართველმა, რომლის სახელი და გვარი მზიამ ვეღარ გაიხსენა, ასეთი ლექსი უძღვნა:

„მზია ქალო, მზის სახელი,
მზიურ დედას მოუცია,
მზიურ ქვეყნის პირველობას
შენ გილოცავს უცხო ძია“.

მძიმე და გულსაკლავი იყო განშორება. მზიას პატიმართა მთელი დასახლება აცილებდა, დედა-შვილთან ერთად სხვებიც ტიროდნენ

ისევ სადგური შექსნა, ვოლოგდა, გზა მოსკოვისკენ და თბილისი, სადაც სახელოვან სპორტსმენს ასე მოუთმენლად ელოდნენ.

* * *

1947 წელს ქართველ ტანმოვარჯიშეებს ხვდათ პატივი საჩვენებელი გამოსვლებისთვის გამგზავრებულიყვნენ პარიზში. გუნდში შედიოდნენ მზია ჯუღელი, კოკა თაყაიშვილი, რაისა კოგანი-ზაალიშვილი და ალექსანდრე ჯორჯაძე. პარიზში ავიაციის მუშაკები გაიფიცნენ და ჩვენი სპორტსმენები მოსკოვიდან უკან გამოაბრუნეს. შეკრებაზე ბაკურიანში გაისტუმრეს, პარიზში გასამგზავრებლად ხელახლა გამოძახების მოლოდინში.

„იმ დროს ჩვენს გარდა ბაკურიანში იყვნენ აგრეთვე მძლეოსნები ლევან სანაძე, ნინო დუმბაძე, ელენე გოკიელი, ექიმი კოტე მედიჩი და ჩემი მწვრთნელი გრიშა მამარდაშვილი. ყველანი „დინამოს“ ბაზაზე ვცხოვრობდით“.

მზიამ ბაკურიანში გაიცნო მაღალი, სიმპათიური ახალგაზრდა კაცი — არკადი არხანგელსკი. ის კარგი მოთხილამურე იყო: „სასრიალოდ ერთად დავდიოდით. განგებ ვეცემოდი, რომ წამოვეყენებინე. ოთხი დღის შემდეგ დეპეშა მოვიდა, ბალტიისპირეთში გვაგზავნიდნენ საფრანგეთის ნაცვლად.“

მზია და არკადი იმავე წელს შეუღლდნენ. 1948 წელს შვილი — ირინა შეეძინათ. ცოტა ხანში მზიას დედა გაათავისუფლეს. მამასთან დაკავშირებით იყო ვერსია, თითქოს ბანაკში დაიღუპა ფილტვების ანთებით. სინამდვილეს ფარდა აეხადა მხოლოდ 1998 წელს. ცნობაში, რომელიც მზიას უშიშროების სამინისტროში გამოძახებისას მისცეს, ეწერა, რომ ნიკოლოზ ჯუღელის მიმართ სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა 1938 წელს მოიყვანეს სისრულეში და ამჟამად რეაბილიტირებულია.

1948 წლის ივნისში, 4 თვის შვილის დედამ, ვარჯიში განაახლა. უკვე ნოემბერში ბაქოში გამართულ ამიერკავკასიის პირველობაზე მრავალჭიდში გაიმარჯვა, ხტომებში კი მეორე ადგილზე გავიდა. შემდეგ იყო მორიგი წარმატებები ქვეყნისა და „დინამოს“ საკავშირო პირველობებში. ცალკე შევჩერდებით მსოფლიო ახალგაზრდულ ფესტივალზე, რომელსაც 1951 წელს ბერლინმა უმასპინძლა, მზიამ აქაც ყველას აჯობა ბჯენით ხტომებში და რგოლებზე, მრავალჭიდში მესამე-მეოთხე ადგილები გაიყო.

გადასახლებიდან დაბრუნებული მზიას დედა ჯერ კიდევ არ იყო რეაბილიტირებული. 1948 წელს ქვეყნაში კვლავ რეპრესიები დაიწყო. ახალი ამბებით შეშინებული ეს ნატანჯი ქალი თიანეთის რაიონში გაიხიზნა, იქ ახალსოფელში დაიწყო მუშაობა ჯანპუნქტში. სოფელშივე დაიქირავა ბინა. ფაქტობრივად, ეს იყო ნებაყოფლობითი გადასახლება. კეთილ დიასახლისთან, ორი მცირეწლოვანი შვილის დედასთან სარა ბენდუქიძესთან დაბინავდა.

„როცა შეჯიბრებაზე მივდიოდი, ჩემი პატარა ახალსოფელში ჩამყავდა და დედასთან ვტოვებდი. ირინა იზრდებოდა სოფლის ბავშვებთან. დედაჩემი თიანეთში დარჩა 1951 წლამდე. თავს იმითაც ირჩენდა, რომ შინაური ცხოველები და ფრინველები გაიჩინა,“ — იხსენებს ქალბატონი მზია.

* * *

1950 წლისთვის ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ გარკვეული, საბჭოთა კავშირი მიიღებდა თუ არა მონაწილეობას 1952 წლის ოლიმპიურ თამაშებში, თუმცა საოლიმპიადო სამზადისი მაინც სახელმწიფო რანგში იყო აყვანილი. წინასაოლიმპიადო შეჯიბრებები, გამოცდილების მიღებასთან ერთად, ნაკრების კანდიდატების შერჩევასაც ითვალისწინებდა. ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ხარკოვში გამართული შეკრება - შეჯიბრება მრავალჭიდში. მზია მრავალჭიდში მესამე პრიზიორი გახდა. ცალკეულ იარაღებზე გამარჯვებულები არ გამოუვლენიათ.

„ჰელსინკში გამგზავრებამდე ორ თვეზე მეტი სოჭში და ვიბორგში გავატარეთ შეკრებაზე. ვიბორგი ფინეთს ესაზღვრება და მომზადების იქ გაგრძელებას კლიმატურ პირობებთან ადაპტაციისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ჩვენს გარდა, იქ სპორტის სხვა სახეობებში საბჭოთა ნაკრებ გუნდებსაც მოუყარეს თავი. ეს საჭირო იყო დელეგაციის ერთიანი სულისკვეთების ჩამოყალიბებისთვისაც. ტანმოვარჯიშენი თოთხმეტნი ვიყავით. ვიცოდით, რომ ჰელსინკში მხოლოდ ცხრა რჩეული გაემგზავრებოდა, აქედან ერთი სათადარიგო. ვცხოვრობდით უმკაცრესი რეჟიმით. წარმოიდგინეთ, ხმაურსა და აჟიოტაჟსაც კი გვაჩვევდნენ. ერთი რომელიმე ნაკრების საკონტროლო შეჯიბრებას მთელი დელეგაცია ესწრებოდა. თავისუფალ დროს გვიჩვენებდნენ კინოფილმებს, დავდიოდით სათევზაოდ. დილით 6 სააათზე ვდგებოდით. ჩვენი საძინებელი იმავე შენობაში იყო, სადაც ვვარჯიშობდით. პირსაბანამდე მისასვლელად დარბაზი უნდა გაგვევლო. მწვრთნელებმა ორიგინალური რამ მოიფიქრეს, ხუთი დვირი ერთმანეთზე სიგრძივ მიადგეს და მთელი დარბაზი ასე, დვირზე უნდა გაგვევლო. ეს სასარგებლო ვარჯიში გამოდგა“.

ნაკრები გუნდის წევრთა შესარჩევ შეჯიბრებაზე ყველაზე მკაცრ მსაჯებს უხმეს მოსკოვიდან. კრიტიკულ მომენტში თუ რა მნიშვნელობა აქვს პირადი მწვრთნელის თანადგომას, ყველამ კარგად იცის. გრიგოლ მამარდაშვილი მზიას არ გააკარეს, პირადი მწვრთნელი არც ოლიმპიელთა შერჩევის საკონტროლო შეჯიბრებაზე მიიწვიეს.

უშუალოდ ოლიმპიადის ატმოსფეროს მზია ჯუღელი ასე იხსენებს:

„სპორტული დარბაზის კარი ღია იყო მუდამ და ნებისმიერ მსურველს შეეძლო ჩვენი წვრთნისთვის თვალყური ედევნებინა. არადა, ყველას გვეგო-

რობერტ შავლაყაძე: „ჰელსინკიში, მზიას ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, სადაც მან ოქროს მედალი მოიპოვა, მეც დღენიადაგ ვოცნებობდი ოლიმპიურ ჯილდოზე. ასე მეგონა, მხოლოდ ამის შემდეგ მექნებოდა მასთან თავის გატოლების უფლება. როცა გამოხდა ხანი, არაერთგზის დავრწმუნდი, რომ ეს ქალბატონი სულაც არ ყოფილა ისე უკარება, როგორც წარმომედგინა. პირიქით. ჩემთვის ასე აღმოვაჩინე მეორე მზია — ბრწყინვალე ადამიანი.“

საბჭოთა და ამერიკელი ოლიმპიელები. ჰელსინკი, 1952 წელი

ნინო დუმბაძე, ვახტანგ ბალავაძე, ბორის პაიჭაძე და მზია ჯუღელი

ნა, კარს ჩაკეტავდნენ, რათა ჩვენი მომზადების დონე უცხო თვალს არ დაენახა. „ღია კარის“ ამბავი უმალვე გახმაურდა და, ფაქტობრივად, ჟურნალისტების, მეტოქე გუნდების, სპეციალისტების თვალწინ გვავარჯიშებდნენ. წარმოიდგინეთ, მოდიოდნენ მსაჯებიც კი. ალბათ, ეს სვლა გათვლილი იყო მეტოქეებზე ფსიქოლოგიურ ზემოქმედებაზე, იმის დემონსტრირებაზე, რომ საბჭოთა ნაკრები ოლიმპიადის უპირველესი ფავორიტი იყო. ამ ტაქტიკამ ნამდვილად გაამართლა.“

მაგრამ საბჭოთა სპეციალისტების „ეშმაკობები“ ამით არ ამოწურულა. იმსჯელეს და გადაწყდა: სარბიელზე პირველი გავიდოდა მზია ჯუღელი. ყველამ კარგად იცოდა, რომ შეჯიბრებას გუნდები შედარებით სუსტი ტანმოვარჯიშით იწყებდნენ. საბჭოთა ნაკრები კი პირიქით მოიქცა და არჩევანი ერთ-ერთ ლიდერზე შეაჩერა. ეს იყო კარგად მოფიქრებული ტაქტიკური სვლა. მეტოქეებს და მსაჯებს თავიდანვე უნდა ეფიქრათ — „თუ ასეთი ოსტატით იწყებენ, დანარჩენები ხომ უფრო ძლიერები იქნებიან“. მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ ნაკრებში ყველაზე გამბედავ, ფსიქოლოგიურად განწონასწორებულ ტანმოვარჯიშედ სწორედ მზია ჯუღელი ითვლებოდა. ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ტაისა დემიდენკომ ყველასათვის გასაგონად გამოაცხადა: „მზია შენ იწყებ!“

ტურნირი დაიწყო ბჯენითი ხტომებით. მზიამ 9,7 ქულა დაიმსახურა. ეს შეფასება იქცა ორიენტირად, როგორც მეტოქეებისთვის, ისე მსაჯებისთვის. ფავორიტებიც ამ შედეგის ირგვლივ ტრიალებდნენ. ოლიმპიადის დებიუტანტმა ბრწყინვალედ შეასრულა ამოცანა. საბოლოოდ, საბჭოთა ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ მარია გოროხოვსკაია, გალინა ურბანოვიჩი, გალინა შამრაი, გალინა მინაიჩევა, მზია ჯუღელი, ეკატერინა კალინჩუკი, ნინა ბოჩაროვა და პალინა დანილოვა ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა გუნდურ პირველობაში. იმავე საღამოს ოლიმპიურ სოფელში გამოცხადდა, რომ გამარჯვებული გუნდის თითოეულ წევრს სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიენიჭა.

მეორე დღეს გაიმართა ჯგუფური შეჯიბრება საგნით. რგოლები თუ გურზები? საბჭოთა სპეციალისტებს ოლიმპიადამდე ჯერ კიდევ არ ჰქონდათ პასუხი გაცემული ამ კითხვაზე. პასუხისმგებლობას თავის თავზე არავინ იღებდა. როგორც იქნა, არჩევანი რგოლებზე შეჩერდა და რვა საბჭოთა სპორ-

მზია ჯულელი
გამარჯვებულის
კვარცხლბეკზე.
1946 წელი

ტსმენის მზადება ოლიმპიადისთვის ფორსირებულად დაიწყო. რატომ რგოლები და არა გურზები? არჩევანის ლოგიკა ასე ჟღერდა: გურზებით ვარჯიშში მეტია საგნის დავარდნის და ქულის დაკარგვის ალბათობა, ვიდრე ერთი საგნით, ამ შემთხვევაში, რგოლით ასპარეზობისას. დიდი დრო წაიღო მუსიკის შერჩევამ. გადაწყდა, რომ საბჭოთა გუნდი ვარჯიშს „მძინარე მზეთუნახავის" ჰანგების ფონზე შეასრულებდა. საბოლოოდ, საბჭოთა მოვარჯიშეები შვედების შემდეგ მეორე ადგილზე გავიდნენ. მზია ჯუღელმა და მისმა თანაგუნდელებმა ამჯერად ვერცხლის მედლები მიიღეს. საერთოდ, ტანმოვარჯიშე ქალთა გამოსვლით საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელობა კმაყოფილი დარჩა. ნაკრების წევრები ოლიმპიადის ბოლომდე დატოვეს ჰელსინკში.

* * *

საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა იქვე, ჰელსინკში მიიღეს შეთავაზება სხვადასხვა ქვეყნიდან საჩვენებელი გამოსვლების თაობაზე. შინ დაბრუნებულებს გამოუცხადეს, რომ პირველი ტურნე გაიმართებოდა პოლონეთში. ის იყო იწურებოდა სტუმრობის ვადა, რომ პოლონეთში საბჭოთა ელჩმა დელეგაციას კიდევ ათი დღით სთხოვა გამოსვლების გაგრძელება. ასეთი თხოვნა მაშინ ბრძანების ტოლფასი იყო.

მომქანცველი გამოსვლების შემდეგ შინ დაბრუნება ყველას ეჩქარებოდა. მით უმეტეს, მზიას, რომელსაც ერთი სული ჰქონდა, რაც შეიძლება მალე ენახა თავისი პირმშო.

შემდეგ იყო ავსტრია. ეს უკვე 1952 წლის დეკემბერია. საქართველოდან მზია ჯუღელთან ერთად რჩეულთა შემადგენლობაში სერგო ჯაიანიც ჩართეს. საჩვენებელი გასტროლებით მოიარეს აგრეთვე ალბანეთი, ჩინეთი, რუმინეთი, უნგრეთი. მიწვევებს ბოლო არ უჩანდა. იმართებოდა ამხანაგური შეხვედრებიც. პრესა ყველგან ხოტბას ასხამდა საბჭოთა ტანმოვარჯიშეებს. რატომღაც მხოლოდ ქალთა გამოსვლების ამსახველი კადრები ქვეყნდებოდა ჟურნალ-გაზეთებში. მეტწილად სწორედ მზია ჯუღელი იყო ყურადღების ცენტრში.

საბჭოთა ტანმოვაჯიშეების ავტორიტეტი იმდენად ამაღლდა, უცხოელმა სპეციალისტებმა და საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენლებმა საკავშირო ჩემპიონატებზე დაიწყეს სტუმრობა. 1953 წელს ჩემპიონატი ჩა-

ტარდა ლენინგრადში. უცხოელ სტუმართა შორის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტიც იყვნენ. ქალები და ვაჟები დღემონაცვლეობით გამოდიოდნენ სარბიელზე. ქალთა ასპარეზობა გაიხსნა ბჯენითი ხტომებით. მზიამ 9,9 ქულა დაიმსახურა 10 შესაძლებლიდან. ოვაციები არ ცხრებოდა დარბაზში. ქალთა შეჯიბრების მომდევნო დღეს, ქართველ ტანმოვარჯიშეთა ლიდერმა 10 ქულა დაიმსახურა და სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა 19,5 ქულით. ნაირსიმაღლის ორძელზე მზია მესამე პრიზიორი გახდა, სხვა იარაღებზე კი ექვსეულში შევიდა.

მსოფლიო ჩემპიონატის წინ, საკავშირო ღია ჩემპიონატს სოხუმმა უმასპინძლა. უცხოეთიდან ერთი-ორი ტანმოვარჯიშის გარდა, არავინ ჩამოსულა. მზიამ შესანიშნავად დაიწყო — სრული 10 ქულა ბჯენით ხტომებში. სამწუხაროდ, იქვე, ფეხი იღრძო და შეჯიბრება ვეღარ გააგრძელა. თუმცა მაინც დარჩა სათადარიგოდ ნაკრებში, პარალელურად მკურნალობდა. მსოფლიოს ჩემპიონატზე იტალიაში, საბჭოთა გუნდმა საცდელი გამოსვლა მზიას მიანდო და მისმა ოსტატობამ აღტაცებაში მოიყვანა მაყურებელი.

1953 წელს აგვისტოში მსოფლიო ახალგაზრდობის ფესტივალი ჩატარდა ბუქარესტში. მზია საბჭოთა ქალ ტანმოვარჯიშეთა გუნდის ლიდერი და კაპიტანი იყო. ტრავმა სრულად მოშუშებული არ ჰქონდა, რომ საცურაო აუზზე, კოშკურიდან გადმოხტომისას, დაბალ ტრამპლინს ჩამოჰკრა ფეხი და კოჭი დაიზიანა. მაინც გავიდა სარბიელზე, სულიერი სიმტკიცის მაგალითი მისცა თავისიანებს. საბჭოთა გუნდმა ჯგუფური ვარჯიში და გუნდური პირველობა მოიგო. მზია ვერცხლს დასჯერდა ბჯენით ხტომებში, სხვა პროგრამაში ექვსეულს არ გასცილებია, რითაც დიდი წვლილი შეიტანა საერთო წარმატებაში.

მზია ჯუღელი: „ეს იყო დაუვიწყარი დღეები, ახალგაზრდობის ჭეშმარიტი დღესასწაული. ბევრი მეგობარი შევიძინეთ, რომლებთანაც შემდგომშიც არ გაგვიწყვეტია ურთიერთობა. ჩემს გარდა, ფესტივალზე საქართველოდან იყვნენ კალათბურთელები, მოჭიდავეები, მძლეოსნები.“

განსაკუთრებული აჟიოტაჟი გამოიწვია 1954 წელს საბჭოთა ქალთა და ვაჟთა ნაკრების ვიზიტმა უნგრეთში. ასპარეზობას ცვლიდა შეხვედრები სასწავლო, შრომით თუ შემოქმედებით კოლექტივებში. ყველგან აღფრთოვანებით ხვდებოდნენ ტანვარჯიშის ოსტატებს. უნგრელებიც ჩამოდიოდნენ მოსკოვში. 1956 წელს ოლიმპიური თამაშების წინა წელიწადს, საბჭოთა

სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე. მოსკოვი, 1946 წელი

ტანმოვარჯიშეები კვლავ მიიწვიეს უნგრეთში. ამხანაგური მატჩი მხოლოდ ოლიმპიური პროგრამით გაიმართა. ეს გასაგებიც იყო. სწორედ აქ მოხდა ერთი საინტერესო ამბავი. ბჯენით ხტომებში რომ ქართველს ბადალი არ ეყოლებოდა, უეჭველი იყო. და აი, მზია სტარტზეა, გამორბენისას ისეთი სიჩქარე აკრიფა, ასასხლეტ ამორტიზატორს გვერდით ჩაუქროლა. ყველა გაოგნდა. მთავარი მსაჯი არბიტრებს უხმობს. ხანმოკლე თათბირის შემდეგ ცხადდება: „მიუხედავად იმისა, რომ ასეთ შემთხვევებში სპორტსმენი შეუფასებელი რჩება, მზია ჯუღელს მიენიჭა 3,6 ქულა „ულამაზესი გარბენისთვის!“

1956 წელს გადამწყვეტ ფაზაში შევიდა მელბურნის ოლიმპიადისთვის მზადება. სწორედ ამ წლიდან სათავე დაედო სსრკ ხალხთა სპარტაკიადას. ამ კომპლექსურ ღონისძიებას თავისი წვლილი უნდა შეეტანა (უფრო სამომავლოდ) პერსპექტიულ სპორტსმენთა გამოვლენა-შერჩევასა და საბჭოთა სპორტმენების ოლიმპიადებისთვის უკეთ მომზადების პროცესში და შეეტანა კიდეც. იმავდროულად დაიწყო გაძლიერებული ზრუნვა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისა და მეცნიერული მიღწევების დასანერგად სპორტში.

დიდი იყო ალბათობა, რომ მზია ჯუღელის სპორტული ბიოგრაფია მელბურნის ოლიმპიადაზე ახალი საამაყო ფურცლით შეივსებოდა, მაგრამ სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. ეს სულაც არ ნიშნავდა სპორტული კარიერის დასასრულს. მზიას სახელს და ავტორიტეტს სპორტის ამ სახეობის პოპულარობისთვის შეეძლო დიდი სამსახური გაეწია, მისი სპორტული გმირობა მაგალითი უნდა გამხდარიყო თაობებისთვის. ასეც მოხდა, რომ აღარაფერი ვთქვათ, ქართულ სპორტში გაწეულ დიდ ღვაწლზე, ქალბატონი მზია მუდამ იყო და რჩება მსოფლიოს სატანვარჯიშო სამყაროს ერთ-ერთ გამორჩეულ წარმომადგენლად.

* * *

საბჭოთა სპორტი, ოლიმპიურ სარბიელზე 1952 წელს წარმატებული დებიუტის შემდეგ, მთავარ მეტოქეებთან, ძირითადად კი აშშ-ის წარმომადგენლებთან უკვე თანაბარ ბრძოლას კი არა, ოქროს მედლებით გადასწრებას გეგმავდა. ამ ამოცანამ ქვეყნის სპორტულ ორგანიზაციებს ახალი სტიმული

მისცა. სპორტი დაუფარავად ავიდა სახელმწიფო პოლიტიკის რანგში, თუმცა, თითქოს შორს იდგა პროფესიონალიზმისაგან და მოჩვენებით ინარჩუნებდა სამოყვარულო სტატუსს. აი, ასეთ ვითარებაში დადგა დღის წესრიგში ისეთი ასპარეზობის ჩატარება ქვეყნის შიგნით, რომელიც ხელს შეუწყობდა ტალანტების გამოვლენას, და საერთოდ, სპორტის აღმავლობას ოსტატობის ზრდასთან ერთად. ოლიმპიადების მსგავსად, სპარტაკიადების ჩატარება ოთხწლიური ციკლით დაიგეგმა. რაკი სხვაგვარად აღარ ესწრებოდა, 1956 წელს სსრ კავშირის ხალხთა ზაფხულის პირველი სპარტაკიადა ოლიმპიადის წელს დაემთხვა და მას მოსკოვმა უმასპინძლა. შემდგომში კი ეს კომპლექსური სპორტული ღონისძიება იმართებოდა ოლიმპიური თამაშების წინა წელს.

1956 წლის დადგომისთანავე, მელბურნის ოლიმპიური თამაშების მზადება გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. მაშინ ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი ოლიმპიური მზადების ცენტრები. თუმცა, მთავრობის ხელშეწყობით, ყველაფერი კეთდებოდა ოლიმპიადისთვის მაღალ დონეზე მოსამზადებლად. მნიშვნელოვანი საკითხები განიხილებოდა და წყდებოდა სახელმწიფო დონეზე.

მზია შესანიშნავ სპორტულ ფორმაში იყო, ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ 1956 წლის ოლიმპიადაც მის სპორტულ ბიოგრაფიაში ღირსეულ ადგილს დაიკავებდა. მაგრამ მოხდა ის, რისგანაც დაზღვეული არავინაა — ავად გახდა, საკავშირო სპარტაკიადის წინ მოიწამლა. შეჯიბრებაში მაინც ჩაება ღონემიხდილი. მხოლოდ მეოთხე ადგილზე გავიდა თავის „სადედოფლო“ პროგრამაში — ბჯენით ხტომებში. მზიამ ოლიმპიადაზე გამგზავრების შანსიც სწორედ იმ დღეს დაკარგა. არადა, სპარტაკიადას უნდა დაესახელებინა საბჭოთა ნაკრების საბოლოო შემადგენლობა. რაღა თქმა უნდა, არავინ დაუშვებდა და, უსამართლობაც იქნებოდა, თუ ნაკრებში ჩართავდნენ სპარტაკიადაზე საპრიზო ადგილის მიღმა დარჩენილ ტანმოვარჯიშეს. ასე მოულოდნელად გადაესვა ხაზი მეორე ოლიმპიადაში მონაწილეობის ოცნებას.

მზია ჯუღელი: „გასაგებია, რა განწყობა დამეუფლებოდა მას შემდეგ, რაც დავრწმუნდი, რომ მელბურნისკენ მიმავალი გზა ჩემთვის მოჭრილი იყო. არადა, როგორ მსურდა კიდევ ერთ ოლიმპიადაში მიმეღო მონაწილეობა. დარდის გასაქარვებლად უცხოეთში მოწყობილ ტურნეებში მონაწილეობა ერთგვარი შეღავათი იყო მხოლოდ, თუმცა თავს „ჩამოწერილად“ სულაც არ ვგრძნობდი.”

მელბურნის ოლიპიადამდე და, განსაკუთრებით ოლიმპიადის შემდეგ, საბჭოთა ტანმოვარჯიშეთა ნაკრებმა არაერთი ტურნე მოაწყო უცხოეთში. ზოგჯერ ნაკრები ორად იყოფოდა და სხვადასხვა ქვეყანაში მიემგზავრებოდა ერთდროულად. სპორტსმენთა სურვილს, ცხადია, ანგარიშს არავინ უწევდა, მათ არავინ არაფერს ეკითხებოდა. მწვრთნელებმა და მათ უკან მდგომმა ფუნქციონერებმა უკეთ იცოდნენ, ვინ სად გაეშვათ. იმ ეპოქაში ნებაყოფლობით მხოლოდ მეგობრებს ირჩევდნენ ცხოვრებაში. სპორტში სხვა დაუწერელი კანონები მოქმედებდა. არათუ მეგობრებს, სპორტსმენ მეუღლეებსაც კი სხვადასხვა მიმართულებით გაუშვებდნენ ხოლმე. „ასე იყო საჭირო“. შუაზე გაყოფილი საბჭოთა ტანმოვარჯიშეთა ნაკრების ერთი ჯგუფი შვეიცარიაში გაემგზავრა, მეორე — ჰოლანდიაში. მზია ჰოლანდიაში მოხვდა. შემდგომშიც გრძელდებოდა საბჭოთა ტანმოვარჯიშეთა გამოსვლები სხვადასხვა ქვეყნებში. გუნდის მშვენება კი მუდამ იყო მზია ჯუღელი. ყოველ მოგზაურობას ახლდა დაუვიწყარი დღები და ეპიზოდები. 1957 წლის მარტში, საბჭოთა ტანვარჯიშის ვარსკვლავები ინდოეთს სტუმრობდნენ — ისინი, ვინც მელბურნში ასპარეზობდნენ ოლიმპიურ ტურნირში და ისინიც, რომლებიც მაშინ ნაკრების მიღმა დარჩნენ. ამ ქვეყანაში ტანვარჯიშის მხოლოდ უმარტივეს ილეთებს თუ იცნობდნენ იმ დროს. ის კი არა, ინდოელებისთვის ნამდვილი ტანმოვარჯიშული იარაღებიც უცხო იყო. ინვენტარი სამი თვით ადრე გადაიგზავნა ბომბეიში. ჩასულებს ტანვარჯიშული იარაღები ადგილზე დახვდათ.

10 ქალაქში ჩაატარეს საჩვენებელი გამოსვლები. მოგზაურობას კურიოზებიც ახლდა. ქალაქ ბანგალორში, აშრამის ცნობილ სკოლაში, ტბაზე ქოქოსის გრძელი ხე ყოფილა გადაწოლილი. ვინც ამ ხეზე ბოლომდე გავა და ხის კენწეროდან ნაყოფს გამოიტანს, ძვირფასი საჩუქრით დაჯილდოვდებაო — უხუმრია მასპინძელს. ხმა არავის გაუღია. მერე ჯგუფს გამოეყო მზია ჯუღელი, ისეთი პოზა მიიღო, თითქოს დვირზე საასპარეზოდ ემზადებოდა. ცოცვაც ოსტატურად დაიწყო, ბოლომდე გავიდა, ნაყოფიც მოწყვიტა და უკან კბილებით გამოიტანა. ამ სახალისო წინადადების შემთავაზებელს, თურმე, ფერი აღარ ედო, ერთ ადგილზე ვერ ისვენებდა, ვიდრე მზია ნაპირზე გამოვიდოდა — ტბა ხომ ნიანგებით იყო სავსე.

დამაგვირგვინებელი გამოსვლა დელიში გაიმართა. საბჭოთა სპორტული დელეგაცია ქვეყნის იმჟამინდელმა მეთაურმა ჯავაჰარლალ ნერუმ მიი-

ღო. ამ შეხვედრას ნერუს ქალიშვილი, ინდირა განდიც ესწრებოდა. დაუვიწყარი იყო აგრეთვე მანამდე შეხვედრა ბომბეიში იმდროინდელ ლეგენდარულ კინომსახიობთან რაჯ კაპურთან.

მზია ჯუღელი: „რაჯი ჩამოგლეჯილ-ჩამოფხრეწილ ტანსაცმელში ნარგისთან ერთად შეგვეგება. როცა გაუგია სტუმრები მოვიდნენო, პირდაპირ გადასაღები პავილიონიდან გამოქცეულა. იმ დღეებში მას ახალ ფილმში, ღატაკი ბიჭის როლში იღებდნენ. როცა შეიტყო, რომ მე საქართველოდან ვიყავი, სიხარულით ცას ეწია — გულღია, სტუმართმოყვარე ხალხიაო, — მერე კაბინეტში კედელზე ჩამოკიდებულ მოვერცხლილ ყანწზე მიმითითა — ეს თქვენთან მაჩუქესო. ეტყობოდა, უსაზღვროდ ნასიამოვნები იყო“.

სამშობლოში დაბრუნების წინ, დელეგაციას დელიში ბოლო ღამე უნდა გაეთია. სასტუმროს ვესტიბიულში ადმინისტრატორმა ჯუღელი მოიკითხა, იქვე წერილი და სუვენირი გადასცა უცნობისგან. „ორი დღე გელოდით და მაინც ვერ შეგხვდით. გეხვევით, თაყვანს გცემთ თქვენი მინის შვილი. 83 წლის ვარ, აწი ვეღარასოდეს მოვესწრები ქართველთან დალაპარაკებას“. ხელმოწერა გაურკვეველი იყო. წერილს ცრემლების ნაკვალევი ეტყობოდა.

ქალბატონი მზია კიდევ ერთ ძველ ამბავს იხსენებს. ეს იყო 1964 წელს. საქართველოს ინტელიგენციის წარმომადგენელთა ერთი ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში მზია ჯუღელი და ცნობილი კალათბურთელი ნოდარ ჯარჯიკიაც იყვნენ, აშშ-ს სტუმრობდა. ნიუ-იორკში ქართველებს წარსულში სახელგანთქმული პროფესიონალი მოჭიდავე კოლია ქვარიანი შეხვდა შვილობილთან ერთად. ის უკვე ასაკოვანი იყო: „კოლია, როგორც თავად გვითხრა, თურმე სასტუმროში ცხოვრობდა. მიგვიპატიჟა. ჩვენი გაოცება უსაზღვრო იყო, როცა მისი საცხოვრებლის ჰოლში ქართული პეიზაჟი ვიხილეთ — უმალვე მიიპყრო ყურადღება ვეებერთელა გოდორმა, ისეთმა, კახეთში ყურძენს რომ ეზიდებიან ვენახიდან. გოდორი ატმებით იყო სავსე, თანაც ფოთლებთან ერთად. კოლიას ფრანგი მეუღლე ჰყავდა — სიდონია. ბევრი ვისაუბრეთ ამ უჩვეულო გარემოში. მერე მიგვიწვია ქართულ რესტორანში. მადლიერების გრძნობით დავემშვიდობეთ ერთმანეთს. უმძიმესი იყო განშორება. მანამდე თითქმის თავშეკავებულს, ერთბაშად მოეძალა ნოსტალგია. ოცნებობდა საქართველოში დაბრუნებაზე. წერილი ჰქონია გამზადებული. თრთოლვით ამოიღო ჯიბიდან ეს ბარათი — საქართველოს მოქალაქეობის

1957 წლის მარტში, საბჭოთა ტანვარჯიშის ვარსკვლავები ინდოეთს სტუმრობდნენ — ისინი, ვინც მელბურნში ასპარეზობდნენ ოლიმპიურ ტურნირში და ისინიც, რომლებიც მაშინ ნაკრების მილმა დარჩნენ.

აღდგენას ითხოვდა, მაგრამ საბჭოთა საქართველოში ეს არ მოხერხდა. მისი უკანასკნელი სიტყვები კი ეს იყო: „თუ სამშობლოში დაბრუნება არ მეღირსა, ოდესმე ჩემი ფერფლი მიმოაბნიეთ რიონის მიდამოებში“.

ბოლო არ უჩანდა უცხოეთში მოგზაურობას. ხშირი გამოსვლები ემსახურებოდა ორ ძირითად მიზანს. პირველი, ეს იყო ტანვარჯიშის პროპაგანდა და მეორე — ოსტატობის დემონსტრირება. ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაცია ამ ღონისძიებებით კმაყოფილი იყო და თავსაც იწონებდა. მეტიც, პროგრამის გახალისების მიზნით, საერთაშორისო ფედერაციამ იუგოსლავიაში, 1958 წელს, ე.წ. გიმნასტრადა მოაწყო. მრავალი ქვეყნის დელეგაცია შეიკრიბა. ჩვეულებისამებრ, საბჭოთა დელეგაცია უძლიერესთა შემადგენლობით დაკომპლექტდა. საქართველოდან „გიმნასტრადაში“ გამოსვლის პატივი წილად ხვდათ მზია ჯუღელს და რეზო კაჭახიძეს, მოსკოვიდან — ვლადიმირ ბელიაკოვს, ევგენი კარაკოვს, ვიქტორია ივანოვას, ლუსია მოტორინას, ვალენტინა ტიურინას, ლენინგრადიდან — კლავდია ორეშკინას, ერევნიდან — გრანტ შაგინიანსა და ალბერტ აზარიანს. ორეშკინა და ტიურინა თითქმის ორი ათეული წელიწადი გამოდიოდნენ სპორტულ სარბიელზე მზია ჯუღელთან ერთად. მათი ახლო ურთიერთობა და მეგობრობა გრძელდებოდა დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგაც.

რა იყო „გიმნასტრადა“ და რა შედიოდა მის პროგრამაში? მზია ჯუღელს მოვუსმინოთ: „ეს იყო სანახაობითი ტანვარჯიშული გამოსვლა, სადაც ოსტატობასთან ერთად, ფასდებოდა სცენარის მხატვრული დონე. გამოსვლები იყო არა ინდივიდუალური, არამედ ჯგუფური — ერთდროულად სრულდებოდა სხვადასხვა ვარჯიშები სტადიონზე საგანგებოდ შექმნილ კონსტრუქციაზე, რომელიც აერთიანებდა ტანვარჯიშის თითქმის ყველა იარაღს. ამას ემატებოდა, თავისუფალი ვარჯიში. ეს უფრო კონკურსი იყო და არა შეჯიბრება. მთავარი იყო ამ სინქრონულ, რთულ ვარჯიშებში სპორტსმენს ბოლომდე შეესრულებინა თავისი პროგრამა. იარაღიდან თუნდაც ერთი მონაწილის მოწყვეტით, გუნდი შეუფასებელი რჩებოდა“. საბჭოთა ტანმოვარჯიშეებს, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, ბადალი არ ჰყოლიათ ბელგრადში, ტანვარჯიშის ამ დღესასწაულზე. თავისი ოსტატობა მზიამ ნაირსიმაღლის ორძელზე, დვირზე და რგოლებზე წარმოადგინა, რეზო კაჭახიძემ კი მაყურებელი აღაფრთოვანა ღერძზე და პარალელურ ორძელზე ურთულესი ვარჯიშების უზადო შესრულებით.

„გიმნასტრადა“ ფაქტობრივად იყო სპორტულ-კულტურული ღონისძიება. ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონი განსაკუთრებულად ერთ ღონისძიებას იგონებს. ეს იყო სამეჯლისო ცეკვებში ტანმოვარჯიშეთა კონკურსი. მზიამ და მისმა მეწყვილემ იოსებ ბერდიევმა პირველობა არც საცეკვაო მოედანზე დაუთმეს მეტოქეებს. ჯილდო — ბროლის ძვირფასი ვაზა, ორივემ ცალ-ცალკე მიიღო. პრიზზე მხოლოდ ერთადერთი, მაგრამ მრავლისთმქმელი სიტყვა იყო ამოკვეთილი — „გამარჯვებულს“. ამ პრიზმა, სამწუხაროდ, მზიას ნადავლთა კოლექციაში ვერ ჰპოვა ადგილი — გზაში გაუტყდა. „ალბათ, იმიტომ, რომ სპორტული ჯილდო არ იყოო,“ — ხუმრობს ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონი.

საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა იმავე წელს პოლონეთში იმოგზაურეს, ლოძსა და პოზნანში გამართეს საჩვენებელი გამოსვლები. მზია გრძნობდა, რომ ახლოვდებოდა მისი დიდი სპორტიდან წასვლის დრო. და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ შინ მუდამ მოუთმენლად ელოდა შვილი და ყოველი განშორება მისთვისაც და ბავშვისთვისაც ძნელი ასატანი იყო, ადვილად ვერ ელეოდა საქმეს, რომელსაც ამდენი წელი შესწირა. რამდენჯერაც ჩაიფიქრებდა და იტყოდა „მორჩა“, მერე იმდენჯერვე იხევდა უკან, როცა საქმე საქმეზე მიდგებოდა. თუ რა ძნელია სპორტიდან ერთბაშად წასვლა, ყველაზე უკეთ დიდმა სპორტსმენებმა იციან.

ქართული სპორტის მესვეურებიც ეგუებოდნენ იმ აზრს, რომ უკვე მოაწია ჟამმა, როცა მზია ჯუღელს სპორტული სარბიელი უნდა დაეტოვებინა, როგორც სპორტსმენს და ერთთავად იმის ცდაში იყვნენ, მისთვის ეს პროცესი ნაკლებად მტკივნეული ყოფილიყო.

ერთ დღეს, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ გიორგი სიხარულიძემ, პრეზიდიუმის სხდომის დამთავრების შემდეგ მზია ჯუღელს, რომელიც პრეზიდიუმის წევრი იყო, რამდენიმე წუთით კაბინეტში დარჩენა სთხოვა.

— ამდენს მოგზაურობ, სხვებს გადასცემ შენს გამოცდილებას, იქნებ თბილისში, რომელიმე სკოლას გაუწიო შეფობა, აიყვანე ტანმოვარჯიშეთა ჯგუფი, — ასეთი იყო ძირითადად საუბრის თემა.

ეს წინადადება მზიამ მიიღო, თუმცა ყველაფერი ამით არ დასრულებულა, შეგუების პროცესი დაიწყო მხოლოდ. სწორედ შეგუების რეჟიმში იმოგზაურა კიდევ რამდენიმე ქვეყანაში, ვიდრე სპორტულ სარბიელს, როგორც

მზია ჯუღელი: „როცა შეჯიბრებაზე მივდიოდი, ჩემი პატარა ახალსოფელში ჩამყავდა და დედასთან ვტოვებდი. ირინა იზრდებოდა სოფლის ბავშვებთან. დედაჩემი თიანეთში დარჩა 1951 წლამდე. თავს იმითაც ირჩენდა, რომ შინაური ცხოველები და ფრინველები გაიჩინა.“

საბჭოთა ოლიმპიელები.
მარჯვნიდან პირველი — არსენ მეკოიშვილი,
მარცხნიდან მეორე — მზია ჯულელი.
ჰელსინკი, 1952 წელი

ტანმოვარჯიშე, საბოლოოდ ჩამოშორდებოდა. „საზოგადოებრივ საწყისებზე ბავშვებთან მუშაობის შემოთავაზებული წინადადება ძალიან მომეწონა. ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის 23-ე სკოლაში ავიყვანე 40-ზე მეტი მოზარდი. მათგან შემდეგ შევარჩიე ნიჭიერები. მოსწავლეთა მშობლებიც კმაყოფილები იყვნენ. სკოლის პატარა დარბაზში გაკვეთილების შემდეგ ვატარებდი მეცადინეობებს. შესანიშნავი პედაგოგი მიხეილ მჭედლიშვილი გვერდიდან არ მშორდებოდა, მეხმარებოდა და ხელს მიწყობდა, რაც შეეძლო," — ასე იგონებს მზია ჯუღელი ახალ ამპლუაში საკუთარი შესაძლებლობების მოსინჯვისა და მის ცხოვრებაში ახალი ეტაპის დაწყების პირველ პერიოდს. როგორც უკვე ითქვა, დიდი სპორტიდან ერთბაშად არ წასულა. სპორტსაზოგადოება „დინამოსთან" მთელი თავისი სპორტული ბიოგრაფიით იყო დაკავშირებული და არ შეეძლო ანგარიში არ გაეწია ამ სპორტსაზოგადოების ხელმძღვანელებისთვის. ესენი კი, ისევ და ისევ მოითხოვდნენ მისგან დაეცვა „დინამოს" სპორტული ღირსება სხვადასხვა შეჯიბრებებში.

1960 წლის დინამოელთა საკავშირო პირველობაზე საქართველოს როგორც ქალთა, ისე ვაჟთა გუნდმა ჩემპიონობა მოიპოვა. ქალთა ასპარეზობა თავისუფალი ვარჯიშით მთავრდებოდა, საქართველოს დინამოელთა გამარჯვება კი დამოკიდებული იყო მზია ჯუღელის გამოსვლის შედეგებზე. სარბიელზე ის გადიოდა ყველაზე ბოლოს.

მზია ჯუღელი: „საკუთარი ძალების რწმენა ჯერ კიდევ არ მქონდა დაკარგული. გამოსვლას ვასრულებდი მალაყით. ის იყო ჩავამთავრე ვარჯიში და სულ ბოლო ფაზაში, დახტომისას, ფეხი მეღრძო. შევეცადე არ შემემჩნია, მაგრამ ნაბიჯის გადადგმა გამიჭირდა. ჩვენები მიხვდნენ, რაც შემემთხვა. დელეგაციის ხელმძღვანელმა თენგიზ სისორდიამ ხელში ამიტაცა და ისე გამიყვანა არენიდან. პირდაპირ სამედიცინო პუნქტში გამაქანა. ასე დამთავრდა ის ასპარეზობა ჩემთვის. მაშინდელი ტრავმა დღემდე მახსენებს თავს".

სკოლაში დიდი გატაცებით განაგრძობდა მუშაობას. ხშირად ფიზაღზრდის მასწავლებელსაც ეხმარებოდა გაკვეთილის ჩატარებაში. მერე ის ჯგუფი, რომელსაც ოლიმპიური ჩემპიონი ამეცადინებდა და რომლის წევრები ტანვარჯიშს აზიარა, სპორტსაზოგადოება „დინამოს" სექციად გაფორმდა. მეცადინეობები უფრო საინტერესო რომ გამხდარიყო, დამხმარედ ჯერ აკომპანიატორი — ანია უნანოვა, შემდეგ კი ქორეოგრაფი — ვალენტინა შიროკაია მიიწვია.

იმ პერიოდში სახელოვან სპორტსმენთა ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ ჩემპიონთა თითქმის არც ერთი გონივრული წინადადება უყურადღებოდ არ რჩებოდა. მზიას აღარ აკმაყოფილებდა საშუალო სკოლის მომცრო დარბაზში მუშაობა. საკმარისი აღმოჩნდა ოლიმპიურ ჩემპიონს სიტყვა დასცდენოდა დარბაზის გაფართოებაზე, რომ განათლების სამინისტრო უმალვე შეუდგა დარბაზის რეკონსტრუქციას.

იმ წელიწადს მზია თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. სასიკეთო საქმეების არეალი ახლა უფრო გაფართოვდა, მით უმეტეს, რომ თბილისის საქალაქო საბჭოს „ჯანმრთელობისა და ფიზიკური კულტურის მუდმივმოქმედ კომისიაში“ შეიყვანეს.

ზემოთ უკვე შევეხეთ ქართული ტანვარჯიშის ისტორიას და ტრადიციებს. გასული საუკუნის 60-იან წლებში ამ ტრადიციების ღირსეულად გამგრძელებელთა რიგებს უკვე როგორც სპეციალისტი, მზია ჯუღელი შეემატა. იგი საქართველოს ქალთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელის პოსტზე დაინიშნა. გაუმართლა მასაც და ყველას, ვინც ნდობა გამოუცხადა. მეტიც, თავის რესპუბლიკაში წარმატებული, სსრ კავშირის ქალთა ნაკრებშიც მიიწვიეს უფროს მწვრთნელად.

ბავშვთა იმ ჯგუფიდან, რომელთანაც მუშაობით, როგორც მწვრთნელმა პირველი ნაბიჯები გადადგა, სამმა სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეასრულა, ერთი — ლალი ბანძელაძე კი სპორტის ოსტატი გახდა. ლალიმ შემდეგ სახელი ექიმობითაც გაითქვა. საზოგადოებრივ საწყისებზე სასარგებლო საქმიანობას მაშინ განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდნენ. ასე მოედო მთელ საბჭოთა კავშირს თბილისის 23-ე სკოლაში მზია ჯუღელის საქმიანობის ამბავი. „ექსპერიმენტი“, რომელსაც სათავე დაუდო ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ბუნებრივია, გასაკუთრებული ენთუზიაზმით აიტაცეს თვით საქართველოში. რესპუბლიკის ტანვარჯიშის ფედერაციას, ცნობილი ვეტერანი ტანმოვარჯიშე ნ. მეიფარიანი ედგა სათავეში. გაზეთ „ლელოს“ ფურცლებიდან სწორედ მან მოუწოდა ტანვარჯიშის პეციალისტებს, ვეტერან თუ მოქმედ სპორტსმენებს, ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის უფროსკურსელებს, მიებაძათ მზია ჯუღელისთვის. მიბაძეს კიდეც, რამაც მზიას სიტყვებით, რომ ვთქვათ: „ბევრი მოზარდი აზიარა სპორტს, ბევრსაც კი სექციებში მეცადინეობა ფიზიკურ და სულიერ სრულყოფაში დაეხმარა.“

მზია ჯუღელს მიესალმება ფიფას პრეზიდენტი ჟოავო აველანჟი. შუაში — რამაზ გოგლიძე. თბილისი, 1985 წელი

არჩევანი გაკეთებული იყო. მზია ჯუღელი სამუდამოდ დარჩა სპორტში, ურომლისოდ ცხოვრება უკვე ვეღარ წარმოედგინა. 1963 წლიდან იგი კვლავ გადის „საერთაშორისო ორბიტაზე“ — მსაჯობა დაიწყო. მის მიერ გადადგმულ ამ ნაბიჯს საერთაშორისო ფედერაცია კმაყოფილებით მიესალმა.

სპორტის ყველა სახეობაში, მაგრამ განსაკუთრებით ისეთ სახეობებში, სადაც სპორტსმენთა გამოსვლების შეფასება დამოკიდებულია პირად სიმპათიებზე, დიდი ძალაა, შეიძლება ითქვას, იმედი და ერთგვარი ჯავშანიცაა, ასპარეზობაზე შენი თანამემამულე თუ მსაჯადაა მიწვეული. ასეთ დროს, მეტწილად, მინიმუმამდე დადის კოლეგა-მსაჯების არაობიექტურობა. მზიას ისიც მატებდა სტიმულს, რომ საქართველოს ტანმოვარჯიშეთა გვერდით იქ-

ნებოდა მაღალი რანგის სპორტულ შეჯიბრებებზე. ადვილად წარმოიდგენთ, რას განიცდიდა, როცა ეძლეოდა შესაძლებლობა საკუთარი თვალით ეხილა თავისივე მემკვიდრეების გამოსვლები სხვადასხვა ტურნირებში.

არაობიექტურობა, თანაც ზღვარგადასული, ერთხელ მაინც მოხდა. ეს იყო ინდონეზიაში. ქალბატონ მზიას სინანულით ახსენებდა იქ დონარა ჯანუყაშვილის გამოსვლა. ადგილობრივმა და ჩინელმა მსაჯებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ ტურნირის ღირსეული გამარჯვებული ქართველი ტანმოვარჯიშე არ გამხდარიყო ბჯენით ხტომებში. მზია ამ დროს მსაჯად სხვა იარაღთან დანიშნეს, რომ თანამემამულის ასპარეზობისთვის არ ედევნებინა თვალი.

ქალბატონი მზია, როცა აუცილებელია და საკუთარ თავზე უწევს ლაპარაკი, მუდამ ცდილობს სიყვარულით მოიხსენიოს ქართველი ტანმოვარჯიშეები. დასტურად ვრცელ ამონარიდს მოვიტანთ წიგნიდან „პირველი ქართველი ქალი ოლიმპიადაზე“, სადაც მზია ჯუღელი თანამემამულე ქალ ტანმოვარჯიშეების შეფასებას იძლევა.

„დონარა ჯანუყაშვილი ძლიერი სპორტსმენი იყო, მიზანდასახულად შრომისმოყვარე. საბჭოთა კავშირის პირველობაზე მრავალჭიდში, ერთხელ მესამე პრიზიორიც გახდა, რაც მაშინ ძალიან ძნელი მისაღწევი იყო, რადგან საბჭოთა კავშირი უძლიერეს ტანმოვარჯიშეთა ქვეყნად ითვლებოდა.

ფურორი მოახდინა მზია ნინოშვილმა, როცა თავისუფალი ვარჯიში ქართული ცეკვის ელემენტებით გაამდიდრა ქორეოგრაფ თინათინ ზურაბიშვილის დახმარებით. ამ ვარჯიშმა მზიას დიდი ავტორიტეტი მოუტანა და შორს გაითქვა სახელი. დასანანია, რომ ამ ნიჭიერმა ტანმოვარჯიშემ თავი ადრე გაანება სპორტს — გათხოვების შემდეგ მეუღლემ აღარ დართო ნება სპორტულ სარბიელზე გამოსულიყო. მახსოვს, პირადად ვთხოვე მის მეუღლეს მზიას ერთ, თუნდაც ბოლო გამოსვლაზე დათანხმებულიყო. უარი ვეღარ მითხრა — მხოლოდ ერთხელო — გაგვაფრთხილა. ის ბოლო ასპარეზობა „დინამოს“ საკავშირო პირველობა იყო. მზია ნინოშვილი პრიზიორი გახდა.

რუსუდან სიხარულიძეზე და ნინა დრონოვაზე ხომ დაუსრულებლად შეიძლება ლაპარაკი. ორივე საბჭოთა კავშირის ნაკრების მშვენება იყო, შთამბეჭდავ წარმატებებს აღწევდნენ საერთაშორისო შეჯიბრებებში. თავიანთი მონაცემებით ორივეს შეეძლო გამხდარიყო ოლიმპიური ჩემპიონი, მაგრამ ადრე ჩამოშორდნენ სპორტს. თავის დროზე რუსუდანი ბათუმიდან თბი-

ლისში გადმოვიყვანეთ დასაოსტატებლად და დროებით მწვრთნელთან ემა ქოვლიევასთან ცხოვრობდა. ბათუმში მას ავარჯიშებდა ნუკრი გაბრიაძე, რომელმაც რუსუდანის, როგორც უმაღლესი კლასის ტანმოვარჯიშის მომზადებაში უდიდესი წვლილი შეიტანა. მაშინ მე ვიყავი უფროსი მწვრთნელი და აღფრთოვანებას ვერ ვფარავდი რუსუდანის მწვრთნელის თავდაუზოგავ, შემოქმედებით მუშაობს რომ ვუცქერდი.

ნინა დრონოვას ამზადებდნენ შესანიშნავი მწვრთნელები — ვალენტინა კლიმოვა და სერგო ბურჯანაძე. რუსუდანის მსგავსად, ნინა ძალიან ძლიერი იყო დვირზე და თავისუფალ ვარჯიშში, 1972 წელს, ოლიმპიური თამაშების წინ, ნინა მოიწამლა, რაც მისთვის სპორტული კარიერის დასასრულად იქცა.

შემდეგ გვყავდა ნელი სალაძის მოსწავლე, უნიჭიერესი მხატვრული ტანმოვარჯიშე ეკა აბრამია. მერე მას ნაკრების უფროსი მწვრთნელი ელისო ბედოშვილი ამზადებდა და მოიპოვა 1996 წლის ოლიმპიადის ლიცენზია. ახლა ტრადიციებს კიდევ ერთი ოლიმპიელი, რუსთაველი ინგა თავდიშვილი აგრძელებს მწვრთნელ ნანა ლონდარიძის ხელმძღვანელობით. უფროსთა ნაკვალევს კი დაბეჯითებით მიჰყვებიან ჯერ კიდევ ნორჩები, ელისო ბედოშვილის აღსაზრდელები ქეთინო ხატიაშვილი და სალომე ჭყონია, სხვა მათი თანატოლები“.

1966 წელს ჯაკარტაში ჩატარდა განეფოს თამაშები. 60-იან წლებში აზიის ქვეყნებში, არასტაბილური პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, დროდადრო წყდებოდა ამ ქვეყნების მონაწილეობა ოლიმპიურ თამაშებში. მაგალითად, ჩინეთი 1958 წლიდან კარგა ხნით ჩამოშორდა ოლიმპიურ მოძრაობას. მიზეზი იყო ის, რომ 1956 წელს ტაივანის წარმომადგენლები დაუშვეს ოლიმპიადაზე. აზიის ბევრმა ქვეყანამ სწორედ ოლიმპიური თამაშების საპირისპიროდ დააწესა განეფოს თამაშები, რომელიც მაშინ აზიის მცირე ოლიმპიურ თამაშებადაც მოიხსენიებოდა. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი საგონებელში ჩავარდა, რაც სავსებით ბუნებრივი იყო. ცხადია, არც დომინანტი ქვეყნების ინტერესებში შედიოდა ოლიმპიური მოძრაობის ერთიანობის დარღვევა. ამიტომ გადაწყდა განეფოს თამაშებში ყველა მსურველს მიეღო მონაწილეობა. მსურველთა შორის კი სსრ კავშირი და აშშ-იც აღმოჩნდა.

ამ გრანდიოზულ კომპლექსურ სპორტულ ასპარეზობაზე საქართველოდან მონაწილეობდნენ მოჭიდავეები — ანზორ კიკნაძე, ფარნაოზ ჩიკვილაძე

და ნუგზარ გოგიბედაშვილი, ჩოგბურთელი ირინა ერმოლოვა, ტანმოვარჯიშეები — ნოდარ მაკალათია, დონარა ჯანუყაშვილი და ელენე ბენიძე. მსაჯად მიწვეული იყო მზია ჯუღელი.

თამაშები უაღრესად დაძაბულ ვითარებაში ჩატარდა. მაშინ, როცა ამ ქვეყანაში თავდასხმები პრეზიდენტზეც კი ხორციელდებოდა, ყველაფერი მოსალოდნელი იყო.

მზია ჯუღელი: „სპორტსმენები, მწვრთნელები, მსაჯები და საერთოდ, თამაშების ყველა სტუმარი ვცხოვრობდით უმკაცრეს რეჟიმში. ე.წ. სპორტულ სოფელში, არავის ჰქონდა უფლება სხვა კორპუსში შესულიყო, თუნდაც სტუმრად. არანორმალურ გარემოში მიმდინარეობდა თვით შეჯიბრებებიც. სტადიონზე ტყვიამფრქვევები იყო ჩადგმული, წესრიგის დამცველები დადიოდნენ იარაღით. განსაკუთრებით თამაშების გახსნის დღეს იყო გაძლიერებული სიფხიზლე — ყველას საგულდაგულოდ ჩხრეკდნენ. თურმე ქვეყნის პრეზიდენტს სუკარნოს ელოდნენ. იგი შვეულმფრენით დაეშვა სტადიონზე“.

საქართველოს სპორტსმენებიდან თამაშების ჩემპიონები გახდნენ კიკნაძე და გოგიბედაშვილი, ვერცხლის მედალი ხვდათ წილად მაკალათიას (თავისუფალ ვარჯიშში), ჯანუყაშვილს და ბენიძეს (გუნდურ ჩათვლაში).

დაძაბულობის გასანეიტრალებლად მასპინძლები ძალიან ცდილობდნენ სიხალისე შეეტანათ თამაშებში მონაწილე სპორტსმენთა ყოველდღიურობაში. ამ ღონისძიებებიდან მზია ჯუღელს ერთი განსაკუთრებით დაამახსოვრდა.

კუნძულ სუმატრას სტუმრობდნენ. თანმხლებ ინდონეზიელს ერთ ადგილზე მიუთითებია და უთქვამს — იქ, წყლის ფსკერზე დიდი მარჯანი ძევს, აგერ ჩაქუჩი, ვინც მამაცია, ჩაყვინთოს და ნაპირი ჩამოატეხოსო. ყველას გასაკვირად, მზიას აუღია ჩაქუჩი და სამი მეტრის სიღრმეზე ჩაუყვინთავს. „განძი“ არ ჩანდა მღვრიე წყალში, მაგრამ ხელის ცეცებით მიუგნია და ერთი ზორბა ნაწილი ჩამოუტეხია. კიდევ რამდენჯერმე უცდია ბედი გათამამებულს. საერთო ჯამში, 16 ნატეხი შეუგროვებია. ეს ამბავი გახმაურებულა: ქალმა როგორ მოახერხა მარჯნის ამოღებაო — მეტად თვით ინდონეზიელები გაკვირვებულან. ნადავლიდან მზიამ ნაწილი გაასაჩუქრა, ზოგიერთი კი, რომელიც ცხოველს, ფრინველს ან მცენარეს ჩამოჰგავდა თავისთვის ძვირფას რელიქვიად აქვს შემონახული. ამ თამაშებთან დაკავშირებით კიდევ ერთ დაუვიწყარ ამბავს იხსენებს ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონი.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ წვეულება გამართულა ქვეყნის პრეზიდენტთან. ყველამ თურმე ნაციონალური სუვენირი უსახსოვრა სუკარნოს. საბჭოთა დელეგაციას არაფერი აღმოაჩნდა. მზიამ განმუხტა უხერხულობა — კამეჩებშებმული ქართული ურმის მინიატურა მიართვა პრეზიდენტს. ურემზე ქართველი გლეხი იჯდა სახრით ხელში. ყველაზე მეტად ამ საჩუქარს გაუხარებია პრეზიდენტი და მზია საცეკვაოდ გამოუწვევია.

* * *

მზია ჯუღელი წარმატებით ართმევდა თავს ნორჩ სპორტსმენებთან მუშობას. ერთ დღეს კი, „შინ მირეკავენ, სასწრაფოდ მობრძანდით გიორგი სიხარულიძე გიბარებთო. ბატონი გიორგი საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარე იყო. მანამდე გამოძახებული ვიყავი ცენტრალურ კომიტეტში ფატი დუმბაძესთან, შემდეგ მინისტრთა საბჭოს თავჯდომარესთან გივი ჯავახიშვილთან. გიორგი სიხარულიძის მოადგილეობას მთავაზობდნენ. მპირდებოდნენ ბინას, მანქანას. მე უკვე ყველაფერი ეს მქონდა, არ დავთანხმდი. ვამბობდი, რომ მყავს მეუღლე, შვილი და მათთვის მსურდა მეტი დრო დამეთმო,“ — იგონებს ქალბატონი მზია. გიორგი სიხარულიძემ ახლა იმიტომ დაიბარა, დაწვრილებით გამოეკითხა უარის მიზეზი და იქნებ გადაწყვეტილებაც გადაეთქვა. არაფერი გამოვიდა.

გიორგი სიხარულიძემ რამდენიმე დღეში მეორედ დაიბარა. თუ რისთვის, თავად მზიას მოვუსმინოთ: „გადავწყვიტეთ ცალკე გავხსნათ უმაღლესი დაოსტატების სპეციალიზებული სკოლა ტანვარჯიშში, შენ იქნები დირექტორი,— მითხრა თავმჯდომარემ. ვთხოვე, მეუღლესთან მოთათბირებისთვის დრო მოეცა. ბატონმა გიორგიმ იქვე მყოფ შოთა ახვლედიანს გადახედა, მერე კი ხმამაღლა თქვა — ეს საქმე გადაწყვეტილია. მეორე დღეს ბრძანება დაიწერა. ეს იყო 1971 წელს.“

საქმეს ზერელედ რომ ვერ მოეკიდებოდა, ყველამ კარგად იცოდა. ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში მხარში მეუღლე დაუდგა, სპორტის გამოცდილი მუშაკი — არკადი არხანგელსკი. თბილისის გარდა, უმაღლესი დაოსტატების ჯგუფები გაიხსნა სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში ზესტაფონში,

ჩინეთი, 1957 წელი

სამტრედიაში — ყველგან, სადაც ტანმოვარჯიშეებს აოსტატებდნენ. საქართველოს ნაკრებიც სკოლის ბაზაზე მუშაობდა.

ფაქტობრივად, იწყებოდა ქართველ ტანმოვარჯიშეთა მზადების ახალი ეტაპი, რომელიც დღეში ორჯერადი ვარჯიშის გარდა, მოითხოვდა ნაკრების წევრთა ერთად ცხოვრებას, გაჩნდა კვების ბლოკის შექმნის აუცილებლობაც. სპორტკომიტეტის შემოთავაზებული დარბაზი ამ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებდა. ასე დადგა დღის წესრიგში სანაპიროზე ახალი, თანამედროვე სპორტული დარბაზის მშენებლობის საკითხი, რომელიც მზია ჯუღელის დაუღალავი ზრუნვის შედეგად რეალობად იქცა და დიდი წვლილი შეიტანა ტანმოვარჯიშეთა ახალი თაობების აღზრდა-დაოსტატებაში. როცა სადმე ამ დარბაზს ახსენებდნენ, იქვე იმასაც დასძენდნენ: „მზიას ცრემლებითაა აშენებულიო“. მართლაც, არ იყო იოლი საქმე მშენებლებთან ურთიერთობა. დიდი დრო და ნერვები შეალია ამ ბაზას.

* * *

როცა ვლაპარაკობთ მზია ჯუღელზე, არამც და არამც არ შეიძლება მხოლოდ მისი სპორტული მიღწევების წამოწევა წინა პლანზე. XX საუკუნის ქალთა სპორტს, და არა მხოლოდ საქართველოში, ჰყავდა სპორტსმენი — პიროვნება. სწორედ პიროვნულმა ღირსებებმა უფრო სრულიად გააბრწყინა და წარმოაჩინა მზია ჯუღელი, როგორც ყველასთვის სათაყვანო, თაობების სამაგალითო ადამიანი.

ქალბატონ მზიასთან შეხვედრებისას განსაკუთრებით მაოცებდა მადლიერების მოჭარბებული გრძნობა, იოტისოდენა სიკეთეც არ უნდა ვინმეს დაუკარგოს, გამორჩეულად კი მაინც იმ ადამიანებს ემადლიერება, ვინც გამწარებულ ბავშვობაში ედგა გვერდით.

ტანვარჯიში სილამაზეა, სილამაზე — ტანვარჯიში. ბევრს დღესაც ახსოვს მზია ჯუღელის სრულქმნილი მშვენიერება, ხოლო ვისაც იგი არ უნახავს ყმაწვილქალობაში, წელთა სიმრავლეს ბევრი რომ ვერაფერი დაუკლია, ამით რჩება გაოცებული. ასეთია სპორტისა და ადამიანის ასაკის ჰარმონია, ყოველ შემთხვევაში, ტანვარჯიშის მაგალითზე მაინც.

ტანვარჯიში, რაღა თქმა უნდა, არტისტიზმიცაა, რასაც ვარჯიშთა შესრულების შეფასებაში, ნატიფ ხელოვნებასთან ერთად, დიდ მნიშვნელობას

ანიჭებენ მსაჯები. როცა მზია უმაღლეს შეფასებას — 10 ქულას იმსახურებდა, ამით ყველაფერი იყო ნათქვამი. ეს მერე შემოვიდა მოდაში შეჯიბრებებზე საუკეთესოთა გამოვლენა — მაყურებელთა თუ ჟურნალისტთა სიმპათიის დასახელება, თორემ, იმ წლებში, ასეთი რამ რომ ყოფილიყო, მზიას, ვინ იცის, რჩეულად რამდენჯერ აღიარებდნენ.

* * *

თვალწინ მიდგას, ატლანტა, 1996 წლის ოლიმპიური თამაშების ერთი ისტორიული დღე. სწორედ ამ ქალაქში და ამ თამაშებზე გაიხსნა „ქალ ოლიმპიურ ჩემპიონთა მუზეუმი“. საზეიმო ცერემონიალზე საგანგებოდ მიიწვიეს მზია ჯუღელი. უნდა გენახათ, რა სითბო და სიყვარული გამოავლინა, როგორი პატივი მიაგო მსოფლიოს სპორტულმა ელიტამ ჩვენს საამაყო ქალბატონს. ყველა იქ მყოფს სურვილი ჰქონდა მუზეუმში გამოფენილ მის ფოტოსთან გადაეღო სურათი. სხვათა შორის, მზია ჯუღელი ყოფილი საბჭოთა სივრციდან ერთადერთი იყო, რომელიც მუზეუმის გახსნაზე მიიწვიეს. ამერიკელმა მასპინძლებმა იქვე, ატლანტაში მას დაბადებიდან 70 წლისთავი გადაუხადეს.

შემდეგ იყო სიდნეი და იქ საერთაშორისო ასოციაციის „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ ფილიალის დაფუძნება. ეს ასოციაცია და მისი ფილიალიც სიდნეიში შეიქმნა მზია ჯუღელის თაოსნობით.

ჯილდოებს და წოდებებს ადამიანები ღვაწლით იმსახურებენ. გამორჩეულად როდისმე თუ ვინმეს ამაგი დაფასებულა, მათ შორის მზია ჯუღელს განსაკუთრებული ადგილი უკავია. ჩამოვთვალოთ: სპორტის დამსახურებული ოსტატი; საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი; საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე; დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის ორდენით“, მედლით „შრომითი წარჩინებისთვის“; ღირსების ორდენით; II ხარისხის ვახტან გორგასლის ორდენით. სხვა ჯილდოებს აღარ ჩამოვთვლით.

იუბილარმა მიიღო უამრავი მოლოცვა, როგორც ტანვარჯიშის საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, ისე ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან, უცხოელი მეგობრებიდან. იუბილარს თავისი ხმა ფაქსით მიაწვდინა მსოფლიოს გარშემო ველოსიპედით მოგზაურმა ჯუმბერ ლეჟავამ.



რომი, 1954 წლის
მსოფლიო ჩემპიონატი

მიუნხენი, 1972 წელი

ცნობილმა პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ ჯანსუღ ჩარკვიანმა ექსპრომტად, ასე გულთბილად და მისთვის ჩვეული იუმორით მიულოცა მზია ჯუღელს დაბადებიდან 75 წლისთავი „ბერიკონში“ გამართულ საზეიმო საღამოზე:

„გადალახე სპორტული
ათი ჯუღელტეხილი,
და დაეცი მსოფლიოს
ქართული ცის მეხივით,
ტრფობით დახუნძლულია
შენი წლების ხეხილი“.

2007 წელს ტანვარჯიშის უკვდავ ლეგენდას მზია ჯუღელს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ქალბატონმა მზიამ მრავალი მისასალმებელი წერილი მიიღო: „ქართულ სპორტს ჰყავს თავისი დედოფალი და ეს გახლავთ ქალბატონი მზია ჯუღელი — პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ქალი, თანაც სპორტის ისეთ უმშვენიერეს და ულამაზეს სახეობაში, როგორიცაა ტანვარჯიში. დრო ვერ გაახუნებს ამ დიდებული სპორტსმენისა და პიროვნების ღვაწლს თავისი სამშობლოს წინაშე. მსოფლიოში თითზე ჩამოსათვლელია ქვეყნები, ვისაც შეუძლია ტანვარჯიშში ოლიმპიურ სარბიელზე ქალის მიერ მოპოვებული ოქროს მედლით იამაყოს. ამ უკვდავ ჩემპიონთა შორისაა ქალბატონი მზია ჯუღელი — ყველა დროის ჩვენი სიამაყე. მზია ჯუღელი არა მხოლოდ საქართველოს, მსოფლიოს სატანვარჯიშო სამყაროს ჩაუქრობელი კაშკაშა ვარსკვლავია. მან უდიდესი წვლილი შეიტანა სპორტის ამ სახეობის განვითარებაში, მანამდე არნახულ სიმაღლეზე აიყვანა ოსტატობა და ეს სიმაღლე ახალი სპორტული მწვერვალების დაპყრობის „საბაზო ბანაკად“ აქცია მომავალი თაობებისთვის“ (ბადრი პატარკაციშვილი, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი).

„ზეშთაგონებასთან შერწყმულმა დაუზარლად გარჯის უნარმა აქცია მზია ჯუღელი პლანეტის სწორუპოვარ ტანმოვარჯიშედ. ქართველთაგან სწორედ ისეთ ადამიანს არგუნა ბედმა პირველობა, რომელიც სამაგალითოა მთელი თავისი ცხოვრებით, საქმით თუ ადამიანური ღირსებებით. ბედნიე-

რია ის ერი, ვისაც ასეთი ბრწყინვალე სპორტსმენები ჰყავს, უპირველესად საკუთარი ხალხის წიაღიდან გამოსული, ნიჭიერი ახალგაზრდების სამაგალითოდ და გზის მაჩვენებლად“ (ჯანსუღ ბაგრატიონი, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საპატიო პრეზიდენტი).

* * *

„კარგად მახსოვს, ბავშვები მზიას „ნაფეხურებს“ როგორ ვიყავით ადევნებულები. ზეპირად ვიცოდით როდის მიდიოდა დარბაზში, რამდენ ხანს ვარჯიშობდა, რას იცვამდა. დიდი ბედნიერება იყო, თუ მოვახერხებდით და ფანჯრიდან მაინც მივადევნებდით თვალს მის ვარჯიშს. დიდხანს გრძელდებოდა ასე. შეჯიბრებებს ხომ არა და არ გავაცდენდით. მაშინ პირადად მე და, ალბათ ბევრი სხვაც, დავრწმუნდით იმაში, თუ რაოდენ წარმტაცია და რა სილამაზეა ტანვარჯიში, როცა ის წარმოდგენილია ქალთა ოსტატობით. მოკლედ, ქალთა ტანვარჯიში ჩემს ცხოვრებაში მზიას სიჩაუქით შემოიჭრა და სამუდამოდ დავრჩი მისი თაყვანისმცემელი. ამ სიტყვებში თვით მზიასაც ვგულისხმობ. ჰელსინკიში, მზიას ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, სადაც მან ოქროს მედალი მოიპოვა, მეც დღენიადაგ ვოცნებობდი ოლიმპიურ ჯილდოზე. ასე მეგონა, მხოლოდ ამის შემდეგ მექნებოდა მასთან თავის გატოლების უფლება. როცა გამოხდა ხანი, არაერთგზის დავრწმუნდი, რომ ეს ქალბატონი სულაც არ ყოფილა ისე უკარება, როგორც წარმომედგინა. პირიქით. ჩემთვის ასე აღმოვაჩინე მეორე მზია — ბრწყინვალე ადამიანი. უბრალო, სიყვარულითა და სითბოთი აღსავსე, თავისი ქვეყნისა და ხალხის სამაგალითო მსახური, გამორჩეული პატრიოტი. მზიას გაჩემპიონებიდან 8 წლის შემდეგ მეც შევდგი ფეხი ოლიმპიური კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. მუდამ მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ ოლიმპიური სიმაღლის დაძლევაში მზიასეულმა მუხტმაც მიბიძგა“ (რობერტ შავლაყაძე, ოლიმპიური ჩემპიონი სიმაღლეზე ხტომაში).

„მე და მზია ბავშვობის მეგობრები ვართ. მისით ყოველთვის ვამაყობდი და ვამაყობ. ცხადია, სხვებთან ერთად, მთელ საქართველოსთან ერთად. მე დავესწარი მზია ჯუღელის 75 წლის იუბილეს „ბერიკონში“. აღტაცებული დავრჩი და მთელი სიცოცხლის მანძილზე გამყვება ის შთაბეჭდილება, რომე-

მზია ჯუღელი და ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ბრუნო ბრონდი

დონარა ჯანუყაშვილი, მზია ჯუღელი და რაფაელ ჩიმიშკიანი

სიდნეი, 2000 წელი

ოლიმპიური ჩემპიონები — მზია ჯუღელი, ქეთევან ლოსაბერიძე და ზურაბ ზვიადაური. 2008 წელი

ლიც იმ ლამაზ საღამოს დამრჩა. ყველაზე მეტად მესიამოვნა ის, რომ სპორტსმენებს ასე მძაფრად აქვთ გამჯდარი სულში ერთმანეთის სიყვარული. რაც ესოდენ დეფიციტურია ჩვენი საზოგადოებრიობის სხვადასხვა წარმომადგენლებში“ (დოდო ჭიჭინაძე, საქართველოს სახალხო არტისტი).

„ჩემი მზიანი ახალგაზრდობის, ჩემი სიცოცხლის გაზაფხულის გარიჟრაჟზე ამობრწყინდა საქართველოს მშვენება, ჩვენს წინაპართა გენში მრავალსაუკუნოვანი მემკვიდრეობით მთვლემარე სინაზე და სისხარტე, სილამაზე, სინატიფე და ნარნარად შრიალა, უზადო პლასტიკის სპორტსმენი მზია ჯუღელი. ჩვენ ერთ ქუჩაზე ვცხოვრობთ, ყოველდღე ვხვდები ჩემს სათაყვანო სპორტსმენს და ბედნიერი ვარ ამით. მოდის და მოგელაობს მზისაებრ გაბრწყინებული, ხალისიანი, მომხიბვლელი, ახალგაზრდული შემართების, ღიმილისა და სიცოცხლის ეშხის მფრქვეველი, ქართული სპორტის მშვენება — მზია ჯუღელი! მასთან შეხვედრა, მე როგორც მსახიობს, სულიერად მამაღლებს, მახალისებს და მის შემხედვარეს მაახალგაზრდავებს კიდეც“ (ნინო ჩხეიძე, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი).

„სპორტის განვითარების ცალკეულ ეტაპზე ყოველთვის გამოჩნდებოდნენ ხოლმე სპორტსმენები, იმ დროისთვის ფანტასტიკურ შედეგებს რომ აჩვენებდნენ. წარსულის გახსენება დღესაც დიდ სიამოვნებას იწვევს, რადგან იგი ეროვნულ სიამაყესთან არის წილნაყარი. ქალბატონ მზიას ყველა შესანიშნავ ადამიანურ თვისებებთან ერთად, ყოველთვის ამშვენებდა ოჯახიშვილობა და არისტოკრატიზმი. საქართველოში იყვნენ, არიან და მომავალშიც იქნებიან გამორჩეული ადამიანები, მაგრამ მათ შორის, ჩემი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში, მზია ჯუღელზე უკეთეს პიროვნებას არასდროს შევხვედრივარ“ (რომანოზ სვანიშვილი, პროფესორი).

„მზია ჯუღელი მსოფლიოს სატანვარჯიშო სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი და საყოველთაოდ ცნობილი წარმომადგენელია. იგი არ დასჯერდა მხოლოდ ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულს. მთელი თავისი ცხოვრება ტანვარჯიშს, მის პოპულარობას და განვითარებას მიუძღვნა. მის მიერ გაკვალულ გზაზე და მისივე უშუალო მონაწილეობით ტანმოვარჯიშეთა თაობები აღიზარდნენ საქართველოში, რომელთა შორის არიან ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები“ (რობერტ ბუში, ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივანი).

„მზია ჯუღელის სახელი და დამსახურება სპორტის ყველა მოყვარულისთვის კარგადაა ცნობილი. დიახ, ქალბატონ მზიას იცნობენ არა მხოლოდ როგორც უდიდეს ტანმოვარჯიშეს, არამედ როგორც ბრწყინვალე ადამიანს, რომელიც მუდამ მზადაა დაეხმაროს სხვას. დიდხანს იცოცხლეთ ჯანმრთელად, ქალბატონო მზია, ყველას გასახარად“ (ლეონიდ არკაევი, რუსეთის ტანვარჯიშის ფედერაციის პრეზიდენტი).

* * *

ბოლოს ისევ მზია ჯუღელს მოვუსმინოთ: „ცხოვრების თავიდან დაწყება რომ შესაძლებელი იყოს, ისევ იმ გზას ავირჩევდი, რაც უკვე გავიარე ოლიპიური კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურამდე — ბავშვობიდან და შემდეგშიც — დღემდე!

ოღონდ ღმერთმა ყველას აშოროს ის ტკივილი და ცრემლი, რაც პატარაობიდან თან მსდევდა, როგორც რეპრესირებული ოჯახის შვილს.

თავს ბედნიერად მივიჩნევ, რომ იმ პირველ ქართველ ოლიმპიელთა შორის მეც ვარ, რომელთა მიერ გაკვალულ გზას, 1952 წლიდან მოყოლებული, ოლიმპისკენ თავდაჯერებით მიჰყვება თაობები.

დაე, არასდროს დაწვრილებულიყოს ეს გზა.“

მზია ჯუღელი

დაიბადა 1926 წლის 1 აგვისტოს ქუთაისში. სპორტული ტანმოვარჯიშე. XV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გუნდურ პირველობაში და მეორე პრიზიორი საგნით ჯგუფურ ვარჯიშში (1952, ჰელსინკი). მსოფლიოს სტუდენტური თამაშების ოთხგზის ჩემპიონი (1951, 54), სსრკ რვაგზის ჩემპიონი (1946-55), საქართველოს (1962-65) და სსრკ ნაკრების მწვრთნელი (1965-70). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი. თბილისის საპატიო მოქალაქე, ვახტანგ გორგასლის II და III ხარისხისა და ღირსების ორდენების კავალერი.

MZIA JUGHELI

Artistic gymnast, was born on August 1, 1926 in Kutaisi, champion of XV Olympic Games in a team contest and silver medalist in the team gymnastics with objects (1952, Helsinki). Four-time champion of the world students games (1951-54), Eight time champion of the USSR (1946-55), coach of the Georgian (1962-65) and USSR (1965-70) national combined teams. Jugheli is the USSR Honored Master of Sports, Honored Coach of Georgia, referee of international category and honorary freeman of Tbilisi. Jugheli is decorated by Vakhtang Gorgasali Order of 2nd and 3rd classes and Order of Honor.